1953 წელი საქართველოსთვის, როგორც მანქანების მწარმოებელი, მისი დაგეგმვის წელი იყო. 1953 წლის 5 მარტს გარდაიცვალა საქართველოს შვილი, პლანეტის უდიდესი ადამიანი იოსებ სტალინი. 10 მარტს კასპიის ზღვაზე დაიწყო დიდი შტორმი, რომელმაც კასპისტროფის წინაშე დააყენა საქართველოს მესვენიერება. კასპიის ზღვაში თავისი ტალღაზვი მოიძვინა ყიზლარის ზამთრის საკომარეზო მყვინთა 4 მილიონამდე სული ცხვარი, საიდანაც მხოლოდ 800 000-ის გადაარჩინა შექმნა. ათასობით მესვენიერ თავისი კომარეზის ანარაღად დაბრუნდა საშობოლოში. იმხანად ყიზლარის ზამთრის საკომარეზო საქართველოში მომარაგებას უზრუნველყოფდა კავშირი არ იყო და მხოლოდ მორუხს ანაზღაურებდა. იოსებ სტალინიც დაიბრუნდა საკომარეზოში.

ვეცნობოდი საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან გამოგზავნილ დეპუტებს და გზავნილებს, რა უბედურება დაატყდა თავს ქართველ ხალხს 1953 წელს. იმავე წლის მაისში, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, პირველად ჩატარდა საბჭოთა კავშირის ცკ-ის პლენუმი, რომელზეც ხრუსჩოვმა პირველად დასდო მას ბრალი დამპყრობლურ პოლიტიკაში, რომელიც გამოიხატებოდა უპრეცედენტო შემთხვევით: ერთ საბჭოთა რესპუბლიკას — საქართველოს, სტალინის სამშობლოს, იმავე ქვეყნის მეორე რესპუბლიკაში, თავისი რესპუბლიკის ტერიტორიის ნახევარზე მეტი აქვს დაპყრობილი და დადგენილებაში ჩაიწერა, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ, რადგან სტიქიურმა უბედურებამ საქართველოს ცხვარი კასპიის ზღვაში ჩაყლაპა, საქართველოს ჩამოერთვას კუთვნილი 700 000 ჰა ფართობი ჩრდილოეთ კავკასიაში (ყიზლარში). ამ უგუნურ დადგენილებას უამრავი მტკიცებულება დასჭირდა, რომ ვერ იარსებებდა საქართველოს მთიანი რაიონის მოსახლეობა, თუ არ ექნებოდათ ყიზლარის ზამთრის საკომარეზო. პო-

სტალინის სიკვდილის შემდეგ, მოლაპატე სრუხი ვიქ დაწყებულა დესტალინიზაციის პერიოდს და სრუხი ქართულთქოქალოება გტარი მოყვარე აქშია და კავკასიელი მოსახლეობის ის მოლაპატე ნაწილი, რომელიც მოგზიურ ქარაზე დაბრუნეს. გვიდა რამდენიმე წელი და უკან დაბრუნებული ხალხის გამცემლური პოლიტიკის გაგრძელების გამო, რუსებმა, რადგან არ ჰქონდათ ხელახალი დასახლების ორგანიზების თავე და გამბედაობა, საპერო აპარატებითა თუ შორეული მოქმედების არტილერიით მიწასთან გაასწორეს ჩეჩენ-ინგუშეთი და ზოგიათი სხვა დასახლება ჩრდილოეთ კავკასიაში. ეს მოხდა 1990-იან წლებში




ლიტიურის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების ძალისხმევით, ჩვენ კვლავ დაგვიტოვეს მიკუთვნილი ტერიტორიებიდან 440 000 ჰა საძოვარი, დამატებით 48 000 ჰა ცხვრის გადასარეკი ტრასა, ხოლო 320 000 ჰა საძოვარი ხრუსჩოვის პირადი დანტერესებით ჩამოგვეერთვა.

დიდი სამამულო ომის პერიოდში სამშობლოს დაცვისათვის 1944 წელს ჩრდილოეთ კავკასიიდან გადასახლებულ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, რომელთა სოფლებსა და ქალაქებში ჩაასახლეს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი საქართველოს მთისა და ბარის რაიონებიდან. საქართველოს საკუთრება გახდა ქლუხორის ახალშექმნილი რაიონი, რომელიც უზარმაზარ ტერიტორიას მოიცავდა და განთქმული იყო, როგორც სახნავი მიწებით, ასევე ულაშაქის საკურორტო ადგილებითა და სამკურნალო წყლებით. საკავშირო მთავრობის დადგენილებით, ეს ტერიტორიები საქართველოს განუყოფელი ნაწილი გახდა, რომელსაც ყიზლარის საძოვრებისაგან განსხვავებით თავისი სადერმაკაციო ადგილები ჰქონდა მოსაზღვრე რესპუბლიკებთან და აღირიცხებოდა საქართველოს რესპუბლიკის მიწის ბალანსში.

სტალინის სიკვდილის შემდეგ, მოლაპატე ხრუსჩოვის მიერ დაწყებულმა დესტალინიზაციის პერიოდმა და ხრუსჩოვის ქართველთმძულეობამ მტერი მოყვრად აქცია და კავკასიელი მოსახლეობის ის მოლაპატე ნაწილი, რომელიც

რომელიც ეკავა გადასარეკ ტრასას, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის პირად საკუთრებას წარმოადგენდა (საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 5 ოქტომბრის 2000 დადგენილებით, რომელსაც ხელს სტალინი აწერდა). **1991 წლიდან, მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ქართველ კაცს ყიზლარის ზამთრის საკომარეზო კომპლექსი ხელში არ გაუვლია. როგორ უცნაურადაც უნდა მოგაჩვენოთ, არც ვინმეს მოუქითხავს ის საქართველო, რომელიც კავკასიის მთების იმით დარჩა.**

ეს ყველაფერი იმიტომ მოვიყვანე მაგალითად, რომ ჩვენს მეზობელ და მეგობარ აზერბაიჯანს სურს, დაეპატრონოს მე-6 საუკუნიდან საქართველოს კუთვნილ მიწებსა და საკულტო ნაგებობებს. ზოგიერთ ვაიქართველს და, კერძოდ, მელაშვილს ჰგონია, რომ, თუ მან სამშობლოს უღალატა და როგორმე თეთრი შავად წარმოაჩინა, ამით



უკადლება!
„გიგლუსის“ მალაზიათა ქსელში შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო საზოგადოება „სტალინის“ თავმჯდომარის, გეორგი მინიანის ნიშნ „სტალინის“ მე-6 ტომი, რომელიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალაში კავკასიის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის შესახებ.

გამარჯვებული დარჩება. მე-ლაპატე თავისი თავისუფლება უფრო მეტად უღირს, ვიდრე თავისი ქვეყნის სიმართლე. ეს იმ მგელკაცს შთამომავალი არ არის, რომელიც ერეკლე მეფისა და სამშობლოს მცველი იყო.

კრწანისის ბრძოლის წინ ერეკლეს სანოლთან ფიზილად მყოფი მცველი მგელიკა მეფეს მოახსენებს:

— დიდო მეფეო, ნუხელ ძალზე შფოთიანი ძილი და ღამე გქონდათ და, თუ ასე გაგრძელდება, როგორღა უნდა იქნეთ, მეფეც ბატონო, თქვენი უძლეველი ხმალი?!

ერეკლე მეფე ჩაფიქრდა და ოხვრით აღმოთქვა:

— მგელიკა, ნუხელ ყველა ჩემი ერთგული მეომარი მე მებრძოდა და მათი თავდასხმისაგან თავს ვიცავდი. ალბათ, ამიტომ მქონდა შფოთიანი ძილი.

გაფთვებულმა მგელიკამ ჰკითხა:

— მეფეო, მეც ხომ არ მომკარ სადმე თვალი?

ერეკლეს ჯერ არ უნდოდა ეთქვა, მაგრამ ბოლოს მაინც უთხრა:

— მათ შორის შენც იყავ, მგელიკა.

— მე სიზმრად ნანახიც არ მინდა მეფის ნალაგატევი სიცოცხლე, — თქვა მგელიკამ, ხანჯალი სწრაფად ამოიღო ქარაშიდან და გული განიგმირა...

„რად არ მემლება ეს სხეული ესრედ მაგარი, რად არ დადენება და ცის ნამად რად არ იქცევა, ან შემოქმედი თავის მოკვლას ნეტავ რად მიშლის? ო, ღმერთო ჩემო, ყველა საქმე ამ ნუთისოფლის როგორ ფუჭია, უნაყოფო, დაობებული.“

შეშპირი



დღეს რუსეთი შიარაღების მიხედვით ათწლეულებით უსწრავს ნატოს და დასავლეთს ამაყად არ აქვს ტექნოლოგიები და შესაქლებლობები, მოსკოვს შიარაღების სფეროში დაეინოს, რა თქმა უნდა, რუსეთის სამხედრო სიძლიერა მიუთითებს ამ ძველის ეკონომიურ კოტინენტალზეც. დღეს რუსული რუბლი, რუსურსებისა და ოქროს გარდა, უზრუნველყოფილია უფრო მნიშვნელოვანი ინსტრუმენტით — სამხედრო სიძლიერით.

რუსეთის პრეზიდენტის მიერ დაანონსებული ახალი „იალტა“ — დიალოგის დაწყებისკენ მოწოდება — კარდინალურად განსხვავდება 1945 წლის იალტისგან იმით, რომ მოლაპარაკების მაგიდასთან საპირისპირო მხარეს არ არიან უფლებამოსილების მქონე პირები. ისტორიის ამ ეტაპზე არ არიან ფრანკლინ რუზველტი და უინსტონ ჩერჩილი. მათ ცვლის უსახო დასავლეთი, რომელსაც კულისებიდან მართავს მსოფლიო ელიტა.

დავოსის ფორუმზე ვლადიმერ პუტინმა მსოფლიოს ლიდერებს კიდევ ერთხელ შესთავაზა მშვიდობიანი მოლაპარაკებები, რათა ბოლო მოეღოს სახელმწიფოებს შორის კონფრონტაციას და შეთანხმდნენ ახალ მსოფლიო წესრიგზე. მაგრამ პარადოქსია, რომ დასავლელი ლიდერები, გაიფანტა ჩათვლით, უფლებამოსილი არ არიან და არც უნარი აქვთ, ასეთი სერიოზული მოლაპარაკებები აწარმოონ რუსეთთან. უფლებამოსილების მქონე მხარეს მხარეს კი — მსოფლიო ელიტას — თავისი შიარაღების შიარაღების საშუალებებით სავსეა არა აქვს.

რუსეთსა და დასავლეთს შორის კონფრონტაციაში შეიძლება მესამე მსოფლიო ომი გამოიწვიოს. მაგრამ, სახელმწიფო, რუსული იარაღის ძალა და შესაძლებლობა, ნუთუცაა გაანადგუროს ომის დაწყების გადაწყვეტილების მიმღები ცენტრები, მსოფლიოს თავიდან ააცილებს ზეგანგებულ მნიშვნელობის შეტაკებით გამოწვეულ კატასტროფას. მიუხედავად ამისა, რუსეთის განადგურების მცდელობები კვლავ გრძელდება ოლონდ სხვა ველზე, სადაც მსოფლიო ფინანსური ელიტა მონოპოლისტურ მდგომარეობაშია.

მსოფლიოს რეალური მართველები დასავლელ ლიდერებს რუსეთთან მოლაპარაკების უფლებას არ აძლევენ. მათ ნაბრძანები აქვთ, მოიფიქრონ მეტი საბაზი სანქციების დასანერგებლად. აქედან მომდინარეობს რუსეთისთვის წაყენებული უაზრო ბრალდებები, მაგრამ, როგორც ჩანს, ფანტაზია ამოწურა ან ყველგან „კრემლის აგენტები“ მოქმედებენ. თუ პარალელურად დიდ სამამულო ომთან გასაპირებულ, ამ ეტაპზე რუსეთთან უკვე მოიგო სტალინისგან და კურსკის ბრძოლაში, გაათავისუფლა ყირიმში და დაანონსდა ახალი „იალტა“.

უკრაინის მოვლენებმა და აშშ-ისა და ევროკავშირის სანქციების წინაშე რუსეთის წინააღმდეგ მკაფიოდ წარმოაჩინა დასავლეთის ფსევდოდემოკრატიული მთავრობების უუნარიანობა. უკრაინის დამოკარბილი არჩევნებით მოსული სახელმწიფო მეთაურები და მთავრობები მსოფლიო ელიტების მიერ რომ იმართებიან, ნათლად გამოჩნდა რუსეთთან სასტიკ დაპირისპირებაში. განსაკუთრებით — აშშ-ის სატელიტ ძველებში, რომლებიც სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე დაინიშნეს მთავარი პარამეტრი აშშ-ისა და ამოსახტული რუსოფობია, დამოკარბის ნიღბები კი საბოლოოდ ჩამოიხსნა ახალ აშშ-ში ნინასარჩვენო კამპანიის მიმდინარეობისას.

ამიტომ ვლადიმერ პუტინმა დავოსის ფორუმზე გამოსვ-


ლისას გლობალურ ფინანსურ ელიტას მიმართა. ეს ფინანსური ელიტა, ე.წ. ფინანსტერნი, თავს მსოფლიოს ბედ-იღბლის გამგებლად მიიჩნევს, მაგრამ ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება ვლადიმერ პუტინი. არც ტრამპს, არც ბაიდენს, არც ევროპის ლიდერებს, რომლებიც გლობალური ელიტის დაინიშნულნი არიან, არ შეუძლიათ თავიანთი ხალხის ნების გამოხატვა. დასავლეთის ყველა ლიდერი, ასეთი თუ ისა, დაინიშნული აღმოჩნდა, თავისი შიარაღებითი პატრონების ნების შემსრულებელი. აირას წერდა მთავრობის დამოუკიდებლობაზე 1913-1921 წლებში აშშ-ის პრეზიდენტი უოდროუ ვილსონი, რომლის მმართველობის პერიოდშიც კერძო პირებმა შექმნეს აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა და მიიღეს შესაბამისი კანონი: „წმენი საკრედიტო სისტემა კონცენტრირებულია კერძო პირების ხელში. წმენი კონტროლს დაქვემდებარებულია ყველა მორჩილი მთავრობა გაცხადით მსოფლიოში — უკვე ახლარ არსებობს თავის მთავრობა, თუმცა არის მთავრობა, რომელიც გაბატონებული ადამიანების ატარა ჯგუფის თავის საზარის გამოხატავს“.

დავოსის კონფერენციაზე ვლადიმერ პუტინის მიერ დიპლომატიური ფორმით ჩამოყალიბებული საკითხები გამგებთათვის ნიშნავს არა მხოლოდ დიალოგის დაწყებისკენ მოწოდებას, არამედ გაფრთხილებაც კონტროლების მიღების წინ. მიმდინარე წელს განსაკუთრებით უნდა ველოდეთ სიუარპირებს აშშ-ის ციფრული გიგანტების მიმართ, რომლებიც ძველის შიარაღებითი ან სანიფორმაციო ომს სახელმწიფოს წინააღმდეგ დაძირს უთხრიან მის საფუძვლებსა და ტრადიციულ ფასეულობებს.

თუმცა, ისინი, ვინც რეალურად მართავს მსოფლიო ეკონომიკას, ჯერჯერობით, სანამ დოლარის სისტემა დომინირებს ან არ ჩამოიშლება, ვერ დასხდებიან მოლაპარაკების მაგიდასთან, და რუსეთიც არ აპირებს დოლარის სისტემაში დარჩენას, რომელშიც აშშ-ის ეკონომიკა უზარმაზარ ფინანსურ ბუმებად იქცა.

ალსანიშნავია, რომ აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემის ყოფილი ხელმძღვანელმა ჯანეტ იელენამ, რომელსაც ჯო ბაიდენმა თავის ადმინისტრაციაში ფინანსთა მინისტრის პორტფელი შესთავაზა, ხელისუფლებას მოუწოდა ამერიკის ეკონომიკაში ფულის მასშტაბური ჩადებისკენ, მიუხედავად ბიუჯეტის დეფიციტისა და უზარმაზარი სახელმწიფო ვალისა, რომელიც სარეკორდო ნიშნულზეა. „არც არჩეული პრეზიდენტი და არც მე არ გთავაზ-

პუტინის ახალი იალტა გლობალური ელიტისთვის



რუსეთსა და დასავლეთს შორის კონფრონტაციაში შეიძლება მესამე მსოფლიო ომი გამოიწვიოს, მაგრამ, სახელმწიფო, რუსული იარაღის ძალა და შესაძლებლობა, ნუთუცაა გაანადგუროს ომის დაწყების გადაწყვეტილების მიმღები ცენტრები, მსოფლიოს თავიდან ააცილებს ზეგანგებულ მნიშვნელობის შეტაკებით გამოწვეულ კატასტროფას. მიუხედავად ამისა, რუსეთის განადგურების მცდელობები კვლავ გრძელდება ოლონდ სხვა ველზე, სადაც მსოფლიო ფინანსური ელიტა მონოპოლისტურ მდგომარეობაშია.



ზოვთ დახმარების ამ პაკეტს ძველის ვალის ტვირთის გაუთავისუფლებლად, მაგრამ ახლა, როცა სასარკინო განაკვეთები ისტორიულად დაბალ დონეზეა, გონივრული იქნება, თუ ჩვენ დიდი ძალბებით ვიმოქმედებთ“ — ბანცხად იელენამ „გადარჩენის ამერიკული გეგმის“ (AMERICAN RESCUE PLAN) კომენტარებისას. ეს გეგმა კი ამერიკის ეკონომიკის 1,9 ტრილიონ დოლარით დახმარებას ითვალისწინებს. ახლა ყველა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ბაიდენის პრეზიდენტობის პერიოდში „ფულის საბეჭდი ჩარხი“ უფრო მძლავრად ამუშავდება და 24-საათიან რეჟიმში გადავა, სანამ არ ააფეთქებს მსოფლიო ფინანსურ სისტემას. პუტინის მიერ დავოსის ფორუმზე მოყვანილი დასავლეთ-

თის სტატისტიკური მონაცემები მიუთითებს, რომ დასავლეთის ეკონომიკა, აშშ-ის მეტაფორით, უფსკრულსკენ მიექანება. მაგალითად, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ბოლო ოცი წლის განმავლობაში ლარების (დღეს 5,5 დოლარზე ნაკლები შემოსავლის მქონეთა) რაოდენობამ აშშ-ში 1,5-ჯერ მოიმატა, რუსეთში კი ამავე პერიოდში ეს რაოდენობა 12-ჯერ შემცირდა.

დღეს რუსეთი შიარაღების მიხედვით ათწლეულებით უსწრავს ნატოს და დასავლეთს ამაყად არ აქვს ტექნოლოგიები და შესაძლებლობები, მოსკოვს შიარაღების სფეროში დაეინოს, რა თქმა უნდა, რუსეთის სამხედრო სიძლიერე მიუთითებს ამ ძველის ეკონომიურ კოტინენტალზეც. დღეს რუსული რუბლი, რუსურსებისა და ოქროს გარდა, უზრუნველყოფილია უფრო მნიშვნელოვანი ინსტრუმენტით — სამხედრო სიძლიერით.

მოსალოდნელია თუ არა გლობალური ელიტის საინფორმაციო ნაბიჯები?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გავიხსენოთ 1945 წლის იალტის კონფერენცია. როგორც ცნობილია, რუზველტი და ჩერჩილი იძულებულნი იყვნენ, მისხდომოდნენ მოლაპარაკებების მაგიდას სტალინთან, რათა თავიანთი გავლენის სფეროები განესაზღვრათ დასავლეთ ევროპასა და გერმანიის დიდ ნაწილში. და ამჟამად რა ანიჭდება გლობალურ ელიტას რუსეთთან მოლაპარაკებების განხორციელების შესაძლებლობა? რა პოზიციები აქვს დაპირისპირებულ მხარეებს?

ორივე მხარის უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ დასავლეთი არ მოუჯდება მოლაპარაკების მაგიდას, რათა რუსეთს რამე დაუთმოს. ერთი შეხედვით, გვეჩვენება, რომ ასეა. მაგრამ აშშ-ს, რომელიც მსოფლიო ეკონომიკას სათავეს უდევს, უკვე 7 წელია, ალყაში აქვს რუსეთი, მისი აზრით, ჯოჯოხეთური სახელმწიფო, მაგრამ რა არის შედეგი?

დღეს ძალთა შეფარდება სრულიად განსხვავებულია. რუსეთი ძალიან გაძლიერდა როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, დასავლეთი კი პირიქით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უზომოდ გაბერილ ფინანსურ ბუმებს. და, თუ ეს დაპირისპირება კიდევ ერთ წელიწადს მაინც გაგრძელდება, დასავლეთი პუტინისგან ნემსის ჩხვლეტას მიიღებს ამ ფინანსურ ბუმში.

iax.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოაშადა ნიკა კორინთელა

P.S. სხვათა შორის, იალტის ცნობილი კონფერენცია, რომლის დღის წესრიგშიც მსოფლიოში აქამდე მოქმედებდა, 1945 წლის 4-11 თებერვალს გაიმართა.



გაიღწევა სრულიად გაამართლა შიში იმ ექსპერტებისა, რომლებიც ამბობდნენ, რომ აშშ-ის ახალმა ადმინისტრაციამ, თავის არამდგრადი მდგომარეობის გამტკიცების მიზნით, შეიძლება რადიკალური ნაბიჯები გადადგას ამერიკელი საზოგადოების გარდაქმნისკენ მოსახლეობის იმ ჯგუფის ინტერესების გათვალისწინებით, რომლებიც ამჟამად ხელისუფლებაში მოსულთა საარჩევნო ბაზას შეადგენს.

სიმბოლურია, რომ ამერიკის ახალმა ლიდერმა საგარეო პოლიტიკის საკითხებზე პირველი სიტყვა წარმოთქვა შენობაში, რომელიც ჰარი ტრუმენის სახელს ატარებს — აშშ-ის პრეზიდენტის, რომელმაც ცივი ომი გააჩაღა საბჭოთა კავშირთან. აშშ-ის ახალი პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის, საგარეო პოლიტიკური სპირი შესრულებული იყო ამერიკელი პოლიტიკოსების აღმადგენლობითი ეპითეტების ტრადიციულ სტილში და გაჟღერებული ჰქვამოხის ნარცისიზმით.

ჯოზეფ ბაიდენის სიტყვის კვინტესენცია თითქოს ნინამ-ორბედი პრეზიდენტების საარქივო დოკუმენტებიდან იყო გადაღებული: ამერიკა უნდა იყოს დიადი, როგორც არასდროს, და უფრო ნაკლებზე ჩვენ თანახმა არ ვართ! აშშ-ის გლობალური ძლიერება ჯო ბაიდენის ალფა და ომეგაა, მისი არქიმედესული ბერკეტი. და, რა თქმა უნდა, ეს პოლიტიკა მიმართული იქნება „ამერიკის ყველაზე სანუკვარი დემოკრატიული ფასეულობების დასაცავად: თავისუფლების, შესაძლებლობების, საყოველთაო უფლებების, კანონის უზენაესობისა და თითოეული ადამიანის ღირსების პატივისცემის“.

როგორ არის გაგებული თეთრი სახლის ახალი უფროსის მიერ „დემოკრატიული ფასეულობების დაცვა“, ბოლო დღეებში უკრაინაში განვითარებული პროცესებმა წარმოაჩინა. უკრაინაში ამერიკის საელჩო, რომელიც უკვე ასრულებს ახალი ადმინისტრაციის მითითებებს, მიესალმა „სხვაგვარად მოაზროვნე“ ტელევიზიების ეთერიდან გათიშვას.

ორი კვირის წინათ ანალოგიური რამ მოხდა თეთრი ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც პრეზიდენტმა დაუსაბუთებლად უწოდა შვითხის თავები, შეამბობი და „შინაური ტერორისტი“ სხვაგვარად მოაზროვნე ამერიკელებს, რომლებიც არ დაეთანხმნენ საეჭვო არჩევნების შედეგებს. ბაიდენმა მათი ქმედებების მკაცრად აღკვეთა მოითხოვა.

ამასთანავე, ბაიდენმა რუსეთზე საუბრისას, რომელიც, მისი აზრით, ძალისხმევას არ იშურებს თავისუფლებებისა და მშვიდობიანი შეკრებების ჩასახშობად, ამ ქვეყანასთან ურთიერთობის ჩამოყალიბების ცენტრალურ პუნქტად გამოაცხადა დასავლეთის აგენტურის ძირგამომთხრელი მოქმედებები რუსეთში. ამით მან, პრაქტიკულად, ამოწურა ამერიკის ახალი ადმინისტრაციის მხრიდან მოსკოვთან მომავალი ურთიერთობის თემა. ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ აშშ-ის პრეზიდენტის მონოღობა „ახალი სიცოცხლის შთაბერვაზე“ ამერიკის სამხედრო-პოლიტიკური კავშირებისთვის, რომელთა წვერი მიმართული უნდა იყოს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ.

სრულიად აშკარაა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ადმინისტრაციას განზრახული აქვს, იმოქმედოს ორი სანინალმდეგო ლოგიკის შესაბამისად, რომელიც ბევრისთვის ცნობილია, როგორც ორმაგი სტანდარტის პოლიტიკა (პოლიტიკური ორსახოვნობა). ამერიკის განსაკუთრებული პრინციპი და სახე „მთაზე წმინდა სახლისა“, რომლის ბინადარნიც მონოღობულნი უნდა იყვნენ, იმბრძანებულნი პლანეტის სხვა მცხოვრებლებზე, კვლავ რჩე-

ბა „ამერიკული სამყაროს“ ცენტრში, რომლის განმტკიცებასაც ცდილობს ბაიდენი. ამერიკის ახალმა პრეზიდენტმა დემოკრატიული სარწმუნოებითი გამათრახების პირველ ობიექტად აირჩია ბოლო დღეებში აქტიულოზური მიაზმა (ბირმა), რომელსაც კატეგორიულად მოსთხოვა, სასწრაფოდ გამოსწორდეს. „ბირმელმა სამხედროებმა უარი უნდა თქვან ძალაუფლებაზე, რომელიც მათ მიიტაცეს, გაათავისუფლონ ადვოკატები, აქტივისტები და სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც დააკავეს, გააუქმონ შეზღუდვები ტელეკომუნიკაციებზე და თავი შეიკავონ ძალადობისგან“. იმ თვალსაზრისით, რომ სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი აშშ-ისთვის არ არსებობს, ბაიდენს ახალი არაფერი უთქვამს.

ამასთანავე, მან სრულიად გაამართლა მიში იმ ექსპერტებისა, რომლებიც ამბობდნენ, რომ აშშ-ის ახალმა ადმინისტრაციამ, თავის არამდგრადი მდგომარეობის გამტკიცების მიზნით, შეიძლება გადადგას რადიკალური ნაბიჯები ამერიკული საზოგადოების გარდაქმნისკენ მოსახლეობის იმ ჯგუფის ინტერესების გათვალისწინებით, რომელიც ამჟამად ხელისუფლებაში მოსულთა საარჩევნო ბაზას შეადგენს.

ბაიდენმა საშუალო კლასისა და ამერიკის „მუშათა ოჯახების“ ინტერესები ტრანსგენდერების, ლგბტ-თემის, მიგრანტებისა და ფერადკანიანთა ინტერესებზე გაცილებით ქვემოთ დააყენა. და ეს არ არის ამერიკის ახალი პრეზიდენტის სპირიტუალური და დამოკიდებულება — ეს „ახალი კურსის“ არსია. მთავარი მიზანი ამერიკის გადაქცევა მაქსიმალურად ხელსაყრელ მოედნად ბაიდენის უკან (და ბაიდენს ზემოთ) მდგომი ტრანსნაციონალური ტიპის ფინანსურ-ეკონომიკური დაჯგუფებისთვის.

აი ამონარიდები ბაიდენის სიტყვებიდან:

* „და კიდევ უფრო რომ აღვადგინოთ ჩვენი მორალური ლიდერობა, მე, აგრეთვე, გამოვცემ პრეზიდენტის განმარტებით ბარათს საავტენტებისთვის, რათა გამოვაცოცხოლოთ ჩვენი ლიდერობა ლგბტ-თემის საკითხებში და ეს გააკეთოთ საერთაშორისო დონეზე. ვიზრუნებთ იმაზე, რომ დიპლომატია და უცხოური დახმარება მიმართული იყოს ამ ადამიანების უფლებების წინ წამოსაწევად, მათ შორის კრიმინალიზაციასთან ბრძოლის გზით და ლგბტ დევნილების დასაცავად, რომლებიც თავშესაფარს ეძებენ...“

* პოსტის დაკავებიდან რამდენიმე საათის შემდეგ ხელი მოვანერე ბრძანებულებას, რომელიც აუქმებს საძულველ, დისკრიმინაციულ აკრძალვას მუსლიმანებისთვის, გაავსებე აკრძალვა შეიარა-

ტრანსგენდერული დემოკრატიის განიფხვსტი

თუკი ეს არ არის ხანდაზოული პოლიტიკური კლოუნის ბუფონადა, მაშინ ჩვენ წინაშეა პრობლემა, რომლის მოგვარებას მოგვიწევს ყველას, მათ შორის სხვა ამერიკასაც



გაიღწევა საშუალო კლასისა და ამერიკის «მუშათა ოჯახის» ინტერესები ტრანსგენდერების, ლგბტ-თემის, მიგრანტებისა და ფერადკანიანთა ინტერესებზე გაცილებით ქვემოთ დააყენა. და ეს არ არის ამერიკის ახალი პრეზიდენტის სპირიტუალური და დამოკიდებულება — ეს „ახალი კურსის“ არსია. მთავარი მიზანი ამერიკის გადაქცევა მაქსიმალურად ხელსაყრელ მოედნად ბაიდენის უკან (და ბაიდენს ზემოთ) მდგომი ტრანსნაციონალური ტიპის ფინანსურ-ეკონომიკური დაჯგუფებისთვის.



დებულ ძალეებში ტრანსგენდერების მსახურებაზე...
* გადავდგით ნაბიჯები სისტემურ რასიზმთან და თეთრეულის უპირატესობის უბედურებასთან საბრძოლველად. ჩვენს ქვეყანაში რასობრივი თანამშრომლობა იქნება არა უბრა-

ლო საკითხი ჩვენი ადმინისტრაციის ერთი განყოფილებისთვის, არამედ ეს იქნება მთელი ჩვენი ადმინისტრაციის საქმე...
ამ დაპირებების ბოლო პუნქტი ამოივლებს იმ ირაციონალური, საღი აზრის სანინალ-

მდგომ მენტალური სანყისის არსს, რომელიც დღეს გამარჯვებას ზეიმობს ამერიკაში. ეს ჰგავს გია დანელიას შედევრ „ქინ-და-და“-დან „შარგლების ფერად დიფერენციაციას“, ოღონდ ამერიკულ ვერტიკალურად ადამიანებს ახა-

რისებენ და გამოარჩევენ არა მათი ღირსების, ნიჭისა და გამოცდილების, არამედ კანის ფერის ან სექსუალური ორიენტაციის მიხედვით — ეს არის ბოლო ინსტანცია საზოგადოების გადაჩევისა ყველაზე ღრმა უფსკრულში. ეს სიძულვილზე არაადამიანურობასა და თავხედობაზე დაფუძნებული „ჩვეულებრივი ფაშიზმია“.

და ეს არ არის მხოლოდ განზრახულობათა დეკლარაცია. დღეს პოლიფუდში ინუნებენ სცენარებს ფილმებისა, რომლებშიც არ არის ლგბტ თემატიკა ან ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი, ხოლო აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა განკარგულებით უნდა აღმოფხვრას რასობრივი და გენდერული „დისპროპორცია“ შეიარაღებულ ძალებში.

ნორმალური „ტოლერანტობით“ დაუსწვლელი ადამიანი ამას იდოტიზმად ჩათვლის, მაგრამ აქ არის რკინისებური ლოგიკა, რომელიც პასუხობს მათ ინტერესებს, ვინც ხელში ჩაიგდო უკიდევანო ძალაუფლება აშშ-ში. სწორედ აბსოლუტური ძალაუფლება არის ყველაზე შავნული ნაციისტური დიქტატურის დამყარების წინაპირობა.

ბაიდენის სიტყვაში ყველაზე მეტი ფარისევლობა გამოჩნდა, როცა მან დაიცვა „თავისუფალი პრესა“. მიგვანჩია, რომ თავისუფალი პრესა მონინალმდევე არ არის, თავისუფალი პრესა აუცილებელია წანმრთელი დემოკრატიისთვის“.

მოსმინო ლაპარაკი „ჯანმრთელ დემოკრატიაზე“ იმ პრეზიდენტისგან, რომელიც ხელისუფლების სათავეში იმის ნყალობით მოვიდა, რომ „თავისუფალი პრესა“ წნეხში მოაქციეს ბაიდენის უკან მდგომი მაძლავრმა ჩრდილოვანმა ძალებმა, ყოველგვარ ზღვარს სცდებდა.

აი ასეთია ტრანსგენდერული დემოკრატიის მანიფესტის იდეოლოგიური მიმართულებები. მანიფესტმა ზუსტად წარმოაჩინა მხოლოდ ის, რომ ამერიკა ერთგულია თავისი განსაკუთრებულობის შესახებ რწმენისა და იმის, რომ უფლება აქვს, თავისი წარმოდგენები მოახვიოს თავს დანარჩენ მსოფლიოს.

და, თუკი ეს არ არის ხანდაზოული პოლიტიკური კლოუნის ბუფონადა, მაშინ ჩვენ წინაშეა პრობლემა, რომლის მოგვარებას მოგვიწევს ყველას, მათ შორის სხვა ამერიკასაც.

e-nevos.su-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ბიორბა განიფხვსტი



ალვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ზორობით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შულლით, ვერაბობით, უზნეობითა და მახეზლარობით. ცილისმამაბელნი, ღვთის მოკულენი, შეურაცხყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ზორობამზარახველნი, მშობლები ურჩნი.

(მოციქულ პავლეს წერილი რომელთა მიმართ, 1,29-30)

ნეოლიბერალური შენობა

კომოსეხსუნალება სახავვო ლიტერატურას შეუტის

ასეთ ტახტს უფლება ვითო მეგობრად?

„და მაშინ მეფისწულმა აკოცა მზეთუნახავ ვაჟკაცს და ცხოვრობდნენ ისინი დიდხანს და ბედნიერად“. ჭირი იქა და ლხინი აქა თუ პირიქით? მზეთუნახავი, ეგებ, ქალიშვილი იყო და არა ვაჟკაცი, როგორც ორი „პროგრესული უნგრელი მწერალი“ წერს ნიგნში „ზღაპრები ყველასთვის“?

არა, არავითარ შემთხვევაში! რადგან ის ორი მწერალი პროგრესულ მოღვაწედ არ ჩაითვლებოდა, მზეთუნახავი ვაჟკაცი კი არა, ქალიშვილი რომ ყოფილიყო. იმ „ზღაპრებში ყველასთვის“ კონკრეტული, თოვლის დედოფალი — ლესნოსელი, სექსორიენტაციად არეული ნაკაცარები და ქალყოფილები. ნორმალურ ადამიანებად რომ წარმოედგინათ, ნიგნს არავინ გამოუტყვდათ და პროგრესულ მწერლებადაც არ გამოაცხადებდნენ **დორითა რიდასი** და **გოლოდისარ ნაღს**, რომლებმაც დარახტეს ლგბტ-ის მოდური ლურჯა და ისე გაჰქროლეს და გასწიეს, რომ ცხრა ხარ-კამერიც ვერ შეაჩერებს.

ფიფქია შავკანიანი გოგონაა, შვედ ფუფას რაღაც საეჭვო ქცევას ატყობენ. — დღეს უნგრეთში ბევრი სიძულვილი და გულაცრუებაა. ბავშვები ამ ატმოსფეროში ცხოვრობენ, — მიანია რეიდასი, — ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ტოლერანტობის შესახებ დავუსვათ შეკითხვები ბავშვებს.

ამ ლიტერატურულ სიახლეზე მწვავე რეაქცია ჰქონდა უნგრეთის პრემიერმინისტრ **ვიქტორ ორბანს**, რომელიც რაღაც სასწაულად ინარჩუნებს საღ აზრს და ნორმალურად მსჯელობს.

ჩვენ მომთმენი ქვეყანა ვართ, მაგრამ არის წითელი ხაზი, რომლის გადაკვეთა არ შეიძლება, — განაცხადა მან. მაგრამ სწორედ მისი მარჯვენა ხელი, დეპუტატი **იოჰან სანიარი** დააკავეს ახლახან ბრიუსელში გამართულ გეოორგიაზე. ეს იმაზე მეტი და სამარცხვინო გაუგებრობაა, როცა მარჯვენამ არ იცის, რას აკეთებს მარცხენა.

ან — პირიქით. „ზღაპრებმა ყველასთვის“ გამოიწვია საპროტესტო აქციები ვიტრინების მსხვერველთა და ნიგნის მალაზიების დანვით დამშვენებულ-გაძლიერებული.

კითხვობა და არ გინდა,

დაიჯერო, რომ გოგონა ფიფქია მულატი გახდა, ხოლო ზღვის ღმერთ პოსეიდონს შეეკინა ყმანვილი ქალის სული, ანუ ტრანსგენდერი. კონკრეტული ბოზა ბიჭად გადაქცა. გოგონები ისეთივე ძლიერი და გამბედავი არიან, როგორც ჭეშმარიტი რაინდი ბიჭები. ავტორებმა განსაკუთრებით გამოკვეთილად წარმოაჩინეს ინვალიდობის, სიღატაკისა და ქსენოფობიის პრობლემები. მშობლების ნაწილმა მიიჩნია, რომ ნიგნი არქიმინიშენელოვანია...

— ასეთი ზღაპრები ვერ შეცვლიან ძველ, კეთილ მოთხრობებს, — ამბობს ფსიქოლოგი **ანანტანია სინიციანა**, — ბევრი ადამიანი ალამფოთა სიუჟეტების საგანგებოდ უხეშმა გადაკეთებამ, რომლებიც ბავშვობიდანვე უყვართ, მაგრამ აღელვებდა არ ღირს იმის გამო, რომ ზღაპრებს ბავშვის გადაპროგრამირება შეუძლია. მშობლების მიერ აღზრდა მინც უპირველესი მნიშვნელობის იყო და რჩება.

დისნეის მულტფილში „წინა“ ლესოსელი ციკლოპი გამოჩნდა

ყველა დასაშვები საზღვარი გადალახულია! დასავლეთის ოჯახური სინამდევების საფუძველი — „დისნეის“ საძირკველი შეირყა. შარშან, ზაფხულში ეკრანებზე ეპიზოდური პერსონაჟი ლესოსელი ციკლოპი იყო. მისი ორიენტაციის გასარკვევად ფილმის ორიგინალში უნდა უქციროთ და ერთი წინადადება არ გამოგრჩეთ. ფხიზელმა დეპუტატმა ვიტალი მილონოვმა „დაიჭირა“ ეს წინადადება: — მხოლოდ ჩვენი ხალხის მტრებ-



მა შეიძლება დაუშვან და მოინონონ კინოთეატრების ეკრანებზე იდეოლოგიური დივერსიის დემონსტრირება. სურთ, რომ ბავშვები იმთავითვე შეიჩვიონ პოზიტიურად აღიქვან სექსუალურ-დევიაციური აზროვნება. თუ ეს არ არის ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა ბავშვებს შორის, მაშ, რა უნდა იყოს იგი? — ასეთი იყო მისი კომენტარი და ვერც შეეკამათებო.

„ახალ ყაიდაზე“

კონკრეტულად არ მოიზომა ფეხსაცმელი, რადგან ეს არის ობიექტივიზაცია და ფეტიში. და, საერთოდ, იგი ძლიერი და დამოუკიდებელი. მას არ სჭირდება მამაკაცი საიმისოდ, რომ ცხოვრება მოინყოს. დაელოდა დედინაცვლის გარდაცვალებას და ბერდება მიტოვებულ და მოუვლელ კარ-მიდამოში ჭკუაშეთხელებულ მამასთან ერთად. ამბობენ, რომ არც ისე დალაგებული ტვინის პატრონი ელაპარაკება თავგებს.



მეფისწული კი სხვა ქალიშვილზე დაქორწინდა, რომელსაც ფეხსაცმელი მოერგო და შესაფერი მსოფლმხედველობა ჰქონდა.

თელ-ავიველმა მარკეტოლოგმა, ქალბატონმა **ელინორ ანსმანმა** ხუმრობით გადააკეთა ძველი ზღაპრები და დაასრულა პროგრესულ-ტოლერანტული, რასობრივად სწორი და ფემინისტურ-მეგობრული ფინალით.

პირდა არ გაჰყვა **ქანის**, რადგან იგი უჭკუოა და მას არ აფასებს. სამაგიეროდ მან გაცივო და შეიყვარა ყაჩაღი ქალი. თოვლის დედოფალმა სამი წლის შემდეგ თვითონვე გააგდო კაი. კაი შინ დაბრუნდა და მეზობლის გოგო მოიყვანა ცოლად. იგი ზოგჯერ სთხოვს ცოლს, სექსის დროს ყინული დაყაროს. ცოლი გულის სიღრმეში განიცდის, მაგრამ უსრულესს ქმარს თხოვანს.

ამერიკელი მხატვარი ქალი **კრისტალ უოლტარი**, რომელსაც თავად აწუხებს ჭარბი წონა, საყვარელ პრინცესებს კილოგრამებს უშურველად უმატებს.

— რაც უფრო ხშირად ვხატავ მსუქნებს, მით უფრო მეტი მსუქანი ადამიანი თავს გრძნობს თავისუფალ მოქალაქედ, — აცხადებს იგი.

რომეო და ჯულიეტამ მოილაპარაკეს, არ გაეცოფებინათ მშობლები, დაეცადათ რამდენიმე წელიწადი, დაეგროვებინათ ფული და სადმე გაქცეულიყვნენ, მაგრამ რვა თვის შემდეგ რომეომ როზალინა შეირთო, ჯულიეტას კი უთხრა, რომ ის არაფერს ცვლის. ჯულიე-

ტამ რატომღაც არ დაიჯერა. მით უფრო, რომ ამასობაში იგიც გაათხოვეს. და ისინი ცხოვრობდნენ არცთუ ბედნიერად და არცთუ დიდი ხნის განმავლობაში.

აი, **ლურჯწვერი** კი ბოლო ცოლთან ერთად ცხოვრობდა დიდხანს და ბედნიერად, რადგან იგი (ცოლი) შეგნებული ადამიანი იყო და, თუ ეტყოდნენ, კარი არ გააღო, იცოდა, რომ უნდა დაეცვა პარტნიორის საზღვრები და კარისთვის ხელი არ ეხლო.

რა არის პარბი

— ზღაპრებში ასახულია კონფლიქტები, ყველასთვის საერთო რომ არის, ამიტომაც ვუყვებით პატარებს, არავითარი მეფისწულები ჩვენს საზოგადოებაში არ ბოგინობენ და არც ციხე-კოშუკებისა და სასახლეების სიმრავლე ამახინჯებს პეიზაჟს, — ამბობს ანანტანია სინიციანა, — მაგრამ კლასიკური ზღაპრები თემების შერჩევით მდიდარი არ არის. ისინი უმთავრესს ვეხებ, მაგრამ ყოველთვის ვერ უპასუხებენ შეკითხვებს, რომლებიც ბავშვებს უჩნდებათ აქ და ამ დროს. ამიტომაც, რომ ფსიქოლოგები მეცადინეობებისთვის იგონებენ და წერენ თავიანთ ისტორიებს. მაგალითად, წლეულს მნიშვნელოვანია, ავუხსნათ ბავშვებს, რატომაცაა შეუძლებელი ბებიისა-ბაბუებთან შეხვედრა პანდემიის გამო, მაგრამ ახალი ზღაპრები მხოლოდ იარაღია და ვერასოდეს შეცვლის იმ ზღაპრებს, რომლებსაც ბავშვობაში გვიკითხავდნენ.





მადლობის სიტყვები უთხრეს სოკოლოვს, ღირსეულად შეაფასეს მისი ღვაწლი, პროფესიონალიზმი და საქმის ერთგულება „პარსკვლავის გახსნის“ ზეიმზე მისულმა კოლეგებმა, რომლებთან ერთადაც უმუშავია და იმათაც, ვისაც სხვისგან გაუბია ამ დიდებული კაცის ამბავი.

დავით სოკოლოვის პარსკვლავი

გასული კვირის ხუთშაბათს, ანუ 2021 წლის 4 თებერვალს ვარსკვლავი გაუხსნეს საქართველოს ტელევიზიისა და რადიომუხრებლობის ლეგენდარულ დიქტორსა და წამყვანს, ჩვენს საყვარელ და უაღრესად პატივსაცემ პიროვნებას — დავით სოკოლოვს. ჩვენს დათოს.

ჩვენსას-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ჩვენი კლასელია. 11 წელიწადი ერთად ვიყავით 1954 წლის XI-მეორე კლასის გამოშვება. სტალინის სახელობის იყო მამინ ჩვენი სკოლა — ვაჟთა პირველი საშუალო სკოლა. ამჟამად — პირველი გიმნაზია.

45 მოსწავლე — ომის თაობა. ახლა ხუთიოდე დავრჩით... ამას იმიტომ ვწერ, რომ მე-კუთვნი და მისვლა და მივედი კიდევ ვარსკვლავის გახსნაზე, ჩვენი კლასის სახელით მისალმობ.

იმიტომაც თუნდაც, რომ 11 წლის განმავლობაში ერთად ვმუშაობდით დათო და მე ტელერადიოკომიტეტში. ქართულ ელექტრონულ ჟურნალისტიკას ვემსახურებოდით, რომელსაც, ჰე, როდღაც ან გვინდოდა კვალში ჩავდგომოდით.

გვინდოდა, დავაპირეთ და 1949 წელს მივედით მამინდელ სახელმწიფო რადიოკომიტეტში „პიონერთა დაფონის“ წამყვანების კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დათო სოკოლოვი, იაგო დუმბაძე და ამ სტრიქონების ავტორი. იაგოსა და მე, არ ვარგისართო, გვითხრეს და უკან გამოგვისტუმრეს. დათო დაიტოვეს.

„სახარე ხბოს სასკორავში“

ეტყობაო“.

ეტყობოდა. მას შემდეგ 70 წელზე მეტი გავიდა და ხალხის სხვა ბრძნული ფორმულის დროც დაუდგა ბატონ დავითს: ბებერი ხარის რქანიცა ხნავენო.

ხნავენ და მერე ისე, ლეკალოში გამოყვანილივით გაჰყავს ხნული. ამ ორ მიჯნას შორის არის მოქცეული ჩვენი მეგობრის, უნიკალური დავით სოკოლოვის მამულიშვილური ცხოვრება და მოღვაწეობა.

იგი იყო და რჩება ქართული იდენტობის წმინდა სამებოდა ერთ-ერთის — ენის განუმეორებელ მსახურად — მისი ქართული (დღეს ასე წარყვნილი) მიჩნეულია სანიმუშო ქართულ მეტყველებად და მისი ჩანაწერი ინახებოდა, როგორც ეტალონი.

ახლა სად არის ან ვინმეს თუ ახსოვს, მართალი გითხრათ, არ ვიცი...

მაგრამ მაინც ახსოვთ, რისი მონმენიცი ვიყავით ფუნქციონირზე, საიდანაც დაიწყო ქართული ტელემუხრებლობა, გამართული ზეიმის მონაწილენი, ჭემმარტი გულშემატკივრები, დავით სოკოლოვის გულწრფელი თავყვანისმცემლები. განწყობა — ალალი და მართალი, რაღაც მშობლიური, შინაურული.



განსაკუთრებული. ამ არაჩვეულებრიობის ავტორები — საზოგადოებრივი მუხრების გენერალური დირექტორი **თინათინ ბარძიანიშვილი** და საზოგადოებრივი მუხრებლობის მედიის დირექტორი **რუსუდან მანჯგალაძე** — თავს დასტრიალებდნენ ბატონ დავითს, ნიავს არ აკარებდნენ. — ცოტაც და გავდივართ პირდაპირ ეთერშიო, — უბოდიშებდნენ, შეგანუხებო.

აქვე ვიტყვი, რომ საზოგადოებრივი მუხრებელი 80-ზე მეტ ვეტერან ჟურნალისტს ინახავს, პენსია დაუნიშნა თავისი ბიუჯეტებიდან. სულის ამოთქმასავითაა იმ დროს, როცა სახელმწიფოს აქ და სხვაგანაც ყველა ერთ თარგზე ჰყავს მოჭრილი...

მადლობის სიტყვები უთხრეს სოკოლოვს, ღირსეულად შეაფასეს მისი ღვაწლი, პროფესიონალიზმი და საქმის ერთგულება „ვარსკვლავის გახსნის“ ზეიმზე მისულმა კოლეგებმა, რომლებთან ერთადაც უმუშავია და იმათაც, ვისაც სხვისგან გაუბია ამ დიდებული კაცის ამბავი.

მეც მათქმევინდეს... და როცა „წერად დავჯექ“ ინფორმაციისა ამ ღირსესანიშნავი ამბის შესახებ, ჩაეხი-ეხი ინტერნეტში და გულიც გამისკდა: დავით სოკოლოვი გარდაიცვალაო, იუნყებოდა ყველაფრის მცოდნე სოციალური ქსელი 2018 წელს გავრცელებულ ჭორს.

ეგ არაფერი, ჩემო დათო! პირიქით — ხომ ნაკიკთხავს მარც ტვენისეული შეფასება მისი გარდაცვალების შესახებ პრესაში გამოქვეყნებული ცნობის თაობაზე: 1897 წლის 2 ივლისს New York Journal-ში დაიბეჭდა მისი დეპეშა ლონდონიდან — „ცნობები ჩემი სიკვდილის შესახებ ფრიად გადაჭარბებულია“.

თანამედროვეთა ალიარებით, მას, ჭემმარტიად ამერიკელ მწერალსა და ორატორს, არ დაუკარგავს მისთვის დამახასიათებელი იუმორის გრძნობა.

კარგის ნიშანია: შენც დიდხანს იცოცხლებ!

არამაზ სანაბლია



საქსტატი: ერთ წელიწადში ზეთი და ხნივი 27%-ით გააჰვირდა; რძე, ყველი და კვერცხი — 9%-ით; პური და პურპროდუქტები კი — 7%-ით

საქსტატმა საქართველოში ინფლაციის 2021 წლის იანვრის მონაცემები გამოაქვეყნა. ამ მონაცემების თანახმად, 2021 წლის იანვარში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 1,1 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 2,8 პროცენტი შეადგინა.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები. ამ ჯგუფში ფასებმა მოიმატა 6,4 პროცენტით, რაც წლიური ინფლაციაზე 2,06 პროცენტული პუნქტით აისახა.

ფასები მომატებულია შემდეგ ქვეჯგუფებში: ზეთი და ცხიმი (27,3 პრო-

ცენტი), ყავა, ჩაი და კაკაო (12,6 პროცენტი), თევზული (10,4 პროცენტი), რძე, ყველი და კვერცხი (9,1 პროცენტი), შაქარი, ჯემი და სხვა ტკბილეული (8,9 პროცენტი), პური და პურპროდუქტები (7,5 პროცენტი), მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (5,6 პროცენტი). ამასთანავე, ფასები შემც-



რებულია ხილსა და ყურძენზე (-3,2 პროცენტი). ჯანმრთელობის დაცვა:

ჯგუფში ფასები მომატებულია 9,7 პროცენტით, რაც 0,76 პროცენტული პუნქტით აისახა

წლიურ ინდექსზე. ფასები გაიზარდა სამედიცინო პროდუქციის, აპარატურისა და მონტაჟის (14,0 პროცენტი) და ამულატორიული სამედიცინო მომსახურების (11,9 პროცენტი) ქვეჯგუფებზე.

ავიჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა: ჯგუფში აღირიცხა ფასების 10,8-პროცენტიანი მატება, რაც წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,61 პროცენტული პუნქტით აისახა.

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ჯგუფში აღირიცხა ფასების 6,9-პროცენტიანი მატება. შესაბამისად, ჯგუფის წელიწადი წლიური ინდექსი 0,45 პროცენტული პუნქტი შე-

ადგინა. ფასები გაიზარდა როგორც თამბაქოს ნაწარმზე (9,1 პროცენტი), ასევე ალკოჰოლურ სასმელებზე (5,2 პროცენტი).

საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერჯია, გუნაბრები აირი: ჯგუფში აღირიცხა ფასების 20,5-პროცენტიანი კლება, რაც -1,77 პროცენტული პუნქტით აისახა წლიური ინფლაციაზე. ფასები შემცირდა ქვეჯგუფებზე: წყალმომარაგება და საცხოვრებელთან დაკავშირებული სხვა მომსახურება (-33,8 პროცენტი) და ელექტროენერჯია, აირი და სათბობის სხვა სახეები (-28,9 პროცენტი).

alt-info.com



რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

უამრავ გულანთებულ ქართველს სისხლიანი 9 აპრილის შემდეგ თავისუფლებისთვის ბრძოლა ცხოვრების უმთავრეს მიზნად ექცა. მოვიპოვეთ კიდეც და რა... ზიზღითა და სიძულვილით დავანგრეთ საბჭოთა საქართველოს ფაბრიკა-ქარხნები, სოფლის მეურნეობა თუ საკურორტო ინფრასტრუქტურა — გავანადგურეთ ყველაფერი და, რომ იტყვიან, ცივ ქვაზე დავსკუბდით.

მას შემდეგ ათწლეულები გავიდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში კი შიმშილს, უსახსრობას, სიდუხჭირეს კარგად გაუზინჯეთ გემო და ახლა ვეკითხებით საკუთარ თავს: ნუთუ ეს არის თავისუფლება? და საერთოდ, რა არის თავისუფლება? ჩვენი დიდი წინაპრების ნააზრევს მოვიშველიებ ამჯერადაც.

ვაუა-ფშაველა: * „თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელება ნებისა, აზრისა, გრძობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა. თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთიერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერთ დამონებულია და დამონებულ ერში, რა თქმა უნდა, პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი“.

* „თავისუფლება და ბედნიერება ერთი და იგივეა“.

* „მშობლები, საზოგადოება და უხეირო სკოლები აჩვენებენ ყრმას ისეთს აზროვნებას, რაც უზმავს მას გონებას, უნერგავს ცხოვრებისათვის მავნე აზრებს, აჩვენებენ მორჩილებას, მოთმენას, უკლავს სიყვარულს თავისუფლებისადმი“.

* „როცა დამონებაში იმყოფება ქვეყანა, თავისუფლებას მოკლებული, იგი დამწყვდეულია ციხეში“.

* „თავისუფლებამ უნდა მოგვცეს სიამოვნება. შეიძლება უსიამოვნებაც მიერგოს თავისუფალს ადამიანს, როგორც სასჯელი უხეირო საქციელისათვის, მაინც მისი თავისუფლება არ იქნება დარღვეული, რადგან ხალხისაგან შექმნილი კანონი, რომლის დადგენაში თვით იმასაც მონაწილეობა აქვს მიღებული, სჯის მას“.

* „თავისუფლებამ უნდა მისცეს მუშას მთელი ნაყოფი შრომისა. უნდა მისცეს სწავლა, განათლება, თავის თავისა, თავის ერისა და კაცობრიობის გონივრული სიყვარული“.

* „თავისუფლება უნდა იყოს საერთო, საყოველთაო და არა საკუთრება რამდენიმე ადამიანისა, როგორც დღეს არი“.

* „გამხმარია, ხმელია ის საზოგადოება, რომელთა წევრებიც მონურად, ყვეფრ-ჩერჩეტად არიან აღზრდილნი და არ უყვარსთ თავისუფლება, ჰხდებათ თავის თავისი, სთელავს ფეხით თავისივე ბედნიერებას. ამისთანა საზოგადოება თუ სახელმწიფო ბუდეა ყოველწინა უსამართლობისა“ (ვაუა-ფშაველა, „რას ჰქვია თავისუფლება?“).

ამ მხარე რეალობას, უკვე კარგა ხანია, ხედავს ხალხი; ის ხალხი, რომლის სახელითაც შექმნილი კანონები თავად ხალხს, მის ინტერესებს სათანადოდ არ იცავს; ხალხი,

რომელიც ყოველი არჩევნების შემდეგ მოტყუებული და განზიდებულია; ხალხი, რომელსაც ცრუ დაპირებებით კვებავენ პოზიციაც და თოზიციაც; ხალხი, რომელმაც ბოლოს და ბოლოს გზა უნდა გამოიხატოს საკუთარი თავისა და ქვეყნის გადაარჩენად, რადგან „არ დამარცხდებოდა მრამდენიმე ქალაქი, არ დაფრთხება მგლის ჯოგი, ვიდრე ამას არ იტყვის უმრავლესობა“.

მაგრამ „იტყვის კი როდისმე ერი გადაჭრით, თავ-ბაბო-მოდებით „სიკვდილი ან სიცოცხლე“ (მ. ი. თავისუფლება)?“

ვაუა-ფშაველას აზრით, ქვეყანა მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი, თუ თავისუფალი იქნება არა მხოლოდ გარკვეული წრე პრივილეგირებული ადამიანებისა, არამედ მთელი ერი. ნუ ეძებთ იქ თავისუფლებას, სადაც განურჩევლად ყველას არ ეძლევა საშუალება, პატიოსანი შრომით მოიპოვოს პური არსობისა, სადაც შრომა და ცოდნა ღირსეულად არ ფასდება.

თუმცა დღეს არც ხელისუფალნი არიან თავისუფალნი; იმათაც ძვირად უჯდებათ თავისუფლების შენარჩუნება:

„მგელი კი თავისუფალი ვითომ? არა. ისიც მუდამ შიშს ქვეშ იმყოფება, დღეს თუ ხვალ უნდა ამომშხამდეს მგლობაო, ფიქრობს იგი, უნდა მომკლანო, ბოლო მგლისა მაინც ეს არი: უნდა მოკვდეს თოფით, სანამლავეთ ან ხაფანგში გაეხვას, სიკვდილი თან სდევს ყოველს ნაბიჯზე. მგელს ადამიანი მაინც სდევნის, თუნდა არაფერს აშავედეს, რადგან მგელია, ნადირია, ტყავი აქვს გამოსადეგი. ხოლო მგლად ქვეულს ადამიანს ასე არ უნდა მოეპყროა! იმის განვრთნა, ჩვენ, — ადამიანთა ხელთ არი, ჩვენ უნდა მოვუსპოთ მას საშუალება, დავუკეტოთ ბილიკები მგლური ინსტიქტების, სურვილების სანაჯარდო და მორჩა მისი მგლობა.“

თავისუფლების კანონთა თანახმად, შეიძლება მამ, სხვას ცოლი, ცხენი წაართვა კაცმა, ვსთქვათ, ივანემ პეტრეს, რადგან პირველს მოსწონს პეტრეს ცოლი და ცხენი? არა, თავისუფლება ამას არ გვიძაბავს, რომ ყოველი ჩვენი სურვილი ვნებდა დამაკმაყოფილოთ წინდაუხედავად. ჩვენი ბრძანებების დაკმაყოფილება და ჩვენი სურვილთა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ამი ჩვენი სხვას, ცალკე ადამიანს ან საზოგადოებას თავისუფლებას არ წაგართმევენ: რად უნდა წაართვას ივანემ პეტრეს ცოლი, როცა თვით პეტრე არა სწუნობს თავის ცოლს, არამედ მოსწონს და უყვარს იგი? ხომ ცოლა, უნდა ტანჯავა-დარდში

„ინტელიგენციამ ვერ მოუხარა თავის ერს, როგორც მისი სარბებლოა მოითხოვდა (ან კი როდის მოვუარეთ?), ვერ დააყენა საქმე ისე, როგორც გამოსადეგი იყო ჩვენთვის. ესეც ვინ უნდა უშველოს ხალხს? ვინ უნდა გამოიყვანოს იგი ამ ეკლიან ბარდიდან? — რა თქმა უნდა, ჩვენმა თვალახილვაულმა ინტელიგენციამ, რომელიც ამ მხრივ დღეს არაფერს აკეთებს და არც შემდგომისთვის ფიქრობს რამე გააკეთოს“.

ნუთუ ეს არის თავისუფლება?

«თავისუფლება უნდა იყოს საერთო, საყოველთაო და არა საკუთრება რამდენიმე ადამიანისა, როგორც დღეს არი»



«თავისუფლება ამას არ გვიძაბავს, რომ ყოველი ჩვენი სურვილი, ბრძნობა, ყოველი ჩვენი ვნება დავაკმაყოფილოთ წინდაუხედავად»



და ვარაშმი ჩავარდეს კაცი და მისი თავისუფლება შეილახოს. ვსთქვათ, პეტრე წუნობს ცოლს და არც ეწყინება, თუ იგი ივანეს ნაწყვეტა, მაგრამ შეიძლება თვით პეტრეს ცოლს არ მოსწონდეს ივანე. განა აქვს უფლება, ნება ივანეს შეახოს მას ხელი? არა, ასევე არა. ამისთანა კანონებს არ ქადაგობს თავისუფლება. თუ ეს ასეა, მამ რად ვართმევთ დიდის მამულის, ტყის პატრონს

თავიანთ საკუთრებას მამულ-დედულს? ხომ იმასაც უყვარს თავის მამული? მამულის ჩამორთმევით ხომ ვართმევთ იმას თავისუფლებას? ვხელმძღვანელობთ ამ შემთხვევაში სიმართლის გრძობით, თუ არა? იქნება უსამართლოდ ვიქცევით, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ? არა. არ ვიქცევით უსამართლოდ და აი რატომ: დიდი მამულის პატრონი ჯერ ერთი, რომ სხვებს,

ასს, ათასს ართმევს თავისუფლებას, რადგან სხვის ნაშრომს იტაცებს, სხვას ლუკმას სტაცებს. ეს უნესობაა, უსამართლობაა და როგორც უნესობის ჩამდენს, მას უნდა მოესპოს საშუალება ამ გვარის ყოფაცქევის. მეორე, მამულ-დედული ხომ იმის შრომით შექმნილი არ არი, იგი დღეთისგან ბოძებულია. იგი ძალმომრეობს, როცა ბუნებას სტაცებს მომეტებულს, რამაც

სხვებსაც ნილი უდევთ. ყველა ეს საჭირო ერთნისთვის, რომელიც ცალკე ადამიანისთვის, კანონები უნდა იყოს თვით ხალხის დადგენილი“.

ადამიანს თავისუფლებამ უნდა მიანიჭოს ნება, უფლება, იმ ხელობას დაადგეს, რომელიც მას მოსწონს და ეხერხება; იცხოვროს იქ, სადა მოისურვებს, ისე რომ სხვის თავისუფლება ოღონდ არ შეზღუდოს, სხვას უსიამოვნება არ მიაყენოს. უნდა უბასპორტო წაივდეს და მოვიდეს, საცა უნდა. ვერავინ უნდა შეახოს მას ხელი, ვიდრე კანონი არ გადასწყვეტს. უნდა ილაპარაკო, სწერო საზოგადო საქმეებზე ისე, როგორც შენ გინდა, დაშლა არავის შეუძლიან, უნდა გამოსთქვა შენი აზრი, დაჰგმო დასაგმობი, აქო საქებარი.

რას მხრულვოთ თავისუფლება ადამიანისაგან? როგორ უნდა იცემოდეს თავისუფალი ადამიანი? — თავისუფალი ადამიანი უნდა იქცეოდეს ისე, რომ თავის ყოფაცქევით სხვას არ ჰვნებდეს, მით უმეტეს საზოგადოებას, არამედ მისი მოქმედება უნდა იყოს მიმართული ქვეყნის საბედნიეროდ. თუ ეს პირობა არ იქნება ადამიანისაგან დაცული, მაშინ მისი მოქმედება იქნება ავაზაკური, ვინაიდან ყოველი ავაზაკი თავისუფლად იქცევა მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის.

მამასადამე, მხოლოდ იმამი არ გამოიხატება თავისუფლება, რაც ვნებას ის ილაპარაკო, სწერო, აკეთო, — არა! უნდა ყოველს სიტყვას და მოქმედებას საერთო, საზოგადო ბედნიერება ედგას სარჩულად, ქვეყნის თუ სასარგებლო არა, სამაგნელო, საზარალო მაინც არ უნდა იყოს ქვეყნისათვის. ყველა ჩვენგანი ხალხისათვის. მოტაცებული თავისუფლება მტაცებელთა ხელში რომელი თავისუფლება, იგი იცემა მტარვალთა. ამ თავისუფლებისას მტარვალნი ათასნაირს ჯაჭვ-ბორკილებს სჭედენ, ხაფანგებს, გაზებს, თავში სცემენ კვერებს და საღრრობელის ბოძებს სდგამენ... ხალხს ამ თავისუფლები-საგან შეზავებულს შხამ-ნაღველს, სანამლავს უშაბდებენ და იმას აწვდიან. ბოლოს კი თითონ რჩებიან მონამულნი. ისტორია ამის მაგალითებს უხვად იძლევა. ხალხი იტანს ამ სანამლავს, იგი ისევ ხალხად რჩება, იმარჯვებს, ხოლო მტარვალთა გული მინაზე ერთხობა. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლების წართმევა უფრო იმათ ჰვნებს, ვინც თავისუფლებას ჰპარავს, ართმევს ხალხს და ჰსურს, იმით მარტო თავად ისარგებლოს. თავისუფლების მტაცებლებზეა სწორედ ზედ გამოჭრილი ქართული ანდაზა: „ვირმა პალო მოპაძო და იმდენი სხვას აკრა, რამდენიც თითონ იკრა“.

ხალხის მმართველნი, რომელიც ამ უაღრესს უბუნებებსა ჰპვიანან და ხალხის მონებად გადაქცევენ ცდილობენ, გარდა იმისა, რომ თავიანთ წოდებას ჰხრწნიან წემორი-ვი და ფიზიკურად, ხალხსაც აუშუშებენ. დამონებული ერი მუდამ გეგამიანი შინაშრობაში და, რა თქმა უნდა, გეგამი



„რად ვსუჭავთი განგებ თვალს და რად არ გვინდა სინამდვილე დავინახოთ? დიად, არ გვინდა დავინახოთ, რადგან სინამდვილის დანახვა თვალს გვატკენს, უსიამოვნო გრძნობებს ალგვიძრავს, მოითხოვს ჩვენგან შრომას, ხელის განძრევას...“



და სუსტი გარემო მტართან საბრძოლველად.

იმას, რაც გვჭირს და რა დღეშიც ვართ, გარეშე ძალას რომ ვერ დავაბრალებთ, ამაში არა ერთხელ დაგვარწმუნეს პოლიტიკოსებმა, რომ-ლეებიც, ოღონდ ერთმანეთი დაამუნათონ, ქვეყნის ინტერესები და ხალხი საერთოდ ავიწყდებოდნენ — ერთმანეთის შეცდომებით ხარობენ, კარგზე კი თვალს ხუჭავენ. როგორც ჩანს, ეს არახალი სენია და ამაზე დიდ ვაჟა-ფშაველასაც გაუმახვილებია ყურადღება. „ამას ვამჩნევ მე და გული მტკივს. ამ ტკივილმა ისე იმატა, რომ თავსაც მატკივს. ამგვარი საქციელი, ამისთანა ერთი მეორესთან დამოკიდებულება ჩემს თავში ვერა თავსდება, გონებას მიძრწუნებს. შენ რას იტყვი, აღარ ვიცი!“ („ამას ვამჩნევ“).

ჩვენც იმავეს ვამბობთ და ვამჩნევთ, რომ „აბა, კანი ბიჭი ხარ და ქართველ კაცს ბაბაბადინებ, ათქმინებ თვინს მოწინააღმდეგის შესახებ, რომ თუმცა ერთსა სტყუი, მაგრამ ეს ერთი რამ კი სიმართლე სთქვიო. რაკი მოწინააღმდეგე ხარ, სრულიად, თავით ბოლომდე, მტყუანი ხარ, მართლის თქმა, მართლის ქმნა არ კალბიძსო“.

დღეს ვინმეს უკვირს ეს? რა თქმა უნდა, არა (თუ აღარ!).

არც ის გვიკვირს, რაზეც იგივე ვაჟა-ფშაველა თავის წერილში „გვიკვირთ?“ წერს.

გიჰკვირთ?

ქართველები ისეთი ხალხი ვართ, რომ ბევრს შემთხვევაში თავის გრძნობას, თავის თვალს და ყურებს როდი ვენდობთ; უსათუოდ სხვამ უნდა გვიკარნახოს ის, რაც ყურით გვესმის; სხვამ უნდა მიგვითხროს იმაზე, რასაც ჩვენი თვალთა ვხედავთ; მხოლოდ მაშინ დავიჯერებთ, მაშინ ვიძახებთ: ბიჭო, ეს ხომ მართალი ყოფილა და არ ვიცოდით! გვიკვირს და ვოცდებით იმის გამო, რომ ცეცხლი მწვავს ყოფილა, ყინული ცვი და მგელს ცხვრის ჭამა სცოდნია. ამისთანა უბრალო ქვეყნარტყებასაც კი სხვისგან ვსწავლობთ.

ტყუილია? არ არის ასე? რომ ჩემი ნათქვამი მართალია და არა ჭორი, მოგაგონებთ ბ. სალათელიანის ნალაპარაკებს პეტერბურგში, ერთ რუსის ოჯახში და იმის გამო ჩვენს მწერლობაში აღძრულს მითქმა-მოთქმას და აყალმაყალს: უყურეთ ჩვენ ძმა-მეზობლებს

«ქართველები ისეთი ხალხი ვართ, რომ ბევრს შემთხვევაში თავის გრძნობას, თავის თვალს და ყურებს როდი ვენდობთ; უსათუოდ სხვამ უნდა გვიკარნახოს ის, რაც ყურით გვესმის; სხვამ უნდა მიგვითხროს იმაზე, რასაც ჩვენი თვალთა ვხედავთ; მხოლოდ მაშინ დავიჯერებთ, მაშინ ვიძახებთ: ბიჭო, ეს ხომ მართალი ყოფილა და არ ვიცოდით! გვიკვირს და ვოცდებით იმის გამო, რომ ცეცხლი მწვავს ყოფილა, ყინული ცვი და მგელს ცხვრის ჭამა სცოდნია. ამისთანა უბრალო ქვეყნარტყებასაც კი სხვისგან ვსწავლობთ, ტყუილია? არ არის ასე?»

გულში რა სდებიან და ჩვენ კი არ ვიცოდითო.

გიჰკვირთ? რად გიჰკვირთ?.. ნუთუ ეს ჩვენ არ უნდა ვიციოდით და, თუ ვიცით, ამ ცოდნას რად ვამბავთ? რად ვსუჭავთი განგებ თვალს და რად არ გვინდა დავინახოთ? დიად, არ გვინდა და ვინახოთ, რადგან სინამდვილის დანახვა თვალს გვატკენს, უსიამოვნო გრძნობებს ალგვიძრავს, მოითხოვს შრომას, ხელის განძრევას... არ გვინდა, შო, ავადმყოფი დედის ნახვა, რადგან ეს ნახვა საზრუნავ საგანს გავგიჩენს: უნდა მოეუაროთ ავადმყოფს, უნდა ექიმი მოვიწვიოთ, მაგრამ არ გვინდა, დავინახოთ. გადარ შეიქნება, გვერდს უნდა ვვავედეთ და სხვ. და სხვ?! ვერაფერი დედაშვილობა!

რა საჭიროა ამგვარი ცნობების მომცემი კორესპონდენტები, რომელნიც ვითომ ერთ-გულს გვიწვივენ, ჩვენის მხრით მადლობის გრძნობას ინვევენ და გულში რა აქვთ, ალაპმა უწყის, როცა ჩვენც კარგად ვხედავთ ყველაფერს, მაგრამ არ გვინდა, დავინახოთ. განგებ თვალს ვხუჭავთ და ვემსგავსებით იმ სირაქელმას, რომელსაც მონადირე ეპარება, ის კი ნაცვლად იმისა, გაეცეცეს, გაერიდოს, ქვიშაში თავსა ჰყოფს, ჰმალავს, არ დავინახო ჩემი მკვლელო.

ასი წელიწადია, ჩვენ ვიყვლილებით ჩარჩებისაგან, როგორც ბ. სალათელიანი აღიარებს, ვილანძლებით, ვხვებით დაცინვის საგნად და არ ვიცით, რა ამბავია ჩვენს თავს. საიდან მომდინარეობს ჩვენზე ეს ვაბაა?.. ამისთვის რად გვინდა ჩვენ უცხო მონა, რომელიც ვით-სი სიკეთის გიჰკვირებთ — აი თქვენზე ამათ ამათ-გან და გულიგულში თავსადაც დაბვინის, ცდილობს, რადაც ახლა გვინდა განგება, წყალი აამდვიროს და თევზები დაიჭიროს. მი, რუმად მრცხვენიან უცხოელის მიერ ჩემს თავსა და ჩემს თავსა... ჩვენ უკეთესი ვართ, რაც ჩვენს ერს ცხოვრების გზაკვალს აურევდა. ამას ინტელიგენცია, რა თქმა უნდა, შეგნებით განგებ არა სწავლიდა, ხოლო საქმე ასე გამოვიდა, ნაყოფი მათ მოღვაწეობისა ამას გვამცნებს! ერისთვის უნდა ერგოთ, მაგრამ ჰვენებდნენ.

მე-40 წლებიდან ხელი შეუწყვეს, რომ ჩვენი მეგობარ-მეზობლები გაძლიერებულიყვნენ ქონებით, ხოლო ჩვენ დაგვირგნვენიერებოდა და აი როგორ: ყველა ჩვენს კომენდიან-ჩიკს ანტონოვიდან დაწყებული, პოეტს თუ პუბლიცისტს ზნედ სჭირდა, დაესურათებინა სომეხი მხდალად, რომ მისი ხელობა-ვაჭრობა — საზიზღრობად. ვაჭრობა ნაცვლად იმისა, რომ შეყვარებინა ხალხისათვის, შეაზიზღეს; ამისათვის არც ბევრი ტყვია-ნაშალი იყო საჭირო, რადგან რაინდული ხასიათის ქართველს ბუნებრივად არა აქვს მიდრეკილება ვაჭრობისაკენ, მით უმეტეს, რომ ამ ვაჭრობის სინონიმად გახდეს მხდალობა.

თამაშობდნენ სცენაზე იმიტოვან პიესებს, სადაც სომეხი იყო გამოყვანილი, როგორც მატყუარა, შშიშარა. ვიცინოდით, ვხითხითებდით და დღეს კი ვსტირით. ყველაზე პოპუ-

ლარული პიესა იმ დროს იყო „ქუნნი“. ამ პიესებს ესწრებოდა ჩვენი სოფლის ბელადი თავადაზნაურობა, რომლის ბედოვლათობას, დარდიმანდობას ამგვარმა ლიტერატურამ ხელი შეუწყო. მამასადაამე, იმთავითვე ჩვენ თვალს ვხუჭავდით სინამდვილეზე. არ გვინდოდა დაგვენახა იგი, ღრმად ჩავკვირებოდით საგანს.

აკაკიმ 80-იან წლებში დაწერა ერთი ლექსი ცოტა სხვა სუენისა და ყაიდისა: „ვაჭარო, მაგ შენ აბაზში სისხლი და ოფლი ჩემია, რატომ არა გაქვს ლევის შიში, ან კაცის არაგორცხვენიანი?“ დაამთავრა ეს ლექსი შემდეგი სიტყვებით: „სისხლმეტი ხომ არ განუხებს, ხომ არ თხოულობ დალაქსაო?“. თვით ეს ლექსიც ვაჭარს და ვაჭრობას საბავლე ხელობად გვიხატავს და მისი მოტივი განსხვავდება ძველი მოტივისაგან მხოლოდ იმით, რომ ნაცვლად იმისა, ეჩვენებინა კულტურული საშუალება ბრძოლისა, თუნდ ეთქვა მაგალითად — დადეგ, თორემ მეც ასისწორ-ჩარექს და არშინს აღვებო, ბაშიბუზუკური მუქარა, ჯავრის ამოყრა დასახასაშუალებად, ხსნად ჭირისაგან, რაიც წართმეულს ვერ დაგვიბრუნებს, მხოლოდ გავაბრაზებს, სისხლს გავგუფებ.

დიად, მაშინდელმა ინტელიგენციამ ვერ მოუარა თავის ერს, როგორც მისი სარგებლობა მოითხოვდა (ან კი როდის მოეუაროთ?), ვერ დააყენა საქმე ისე, როგორც გამოსადეგი იყო ჩვენთვის.

ესევე ვინ უნდა უშველოს ხალხს? ვინ უნდა გაამოიყვანოს იგი ამ ეპილან ბარდიდან? — რა თქმა უნდა, ჩვენმა თვალახილებულმა ინტელიგენციამ, რომელიც ამ მხრივ დღეს არაფერს აკეთებს და არც შემდეგისთვის ფიქრობს რამე გააკეთოს. ჩვენმა ინტელიგენციამ, თუ შეიძლება ამგვარ შეროსტრატებს ინტელიგენცია დაარქვას კაცმა, ნაცვლად იმისა, ერისთვის ეწვენიებინა სწორეზა ცხოვრებისა, ესწავლებინა თავის თავის მოვლა-შატრონობა, ქართველ კაცს ააღვინებინა ხელი თავის პიროვნებაზე, თავის თავზე, შეიტანა ხალხში დამახინჯებული კოსმოპოლიტიზმი ერთობის სახელით, მოუკლა ეროვნული გრძნობა, დაუბო ენერჯია, დაუკეტა გზა თვითცნობიერებისაკენ: თავადაზნაურობა უცხოელზე ჰყიდის მამულ-დედულს, ხოლო გლეხობა თავის „ნადელებს“ ნალაღურს უგდებს ხელში ჩარჩებს... ჩვენ კი ვუცდით გარედან მუჯლუგუნს, კისერში კისტებს. უცხო, გარეშე კაცის ატვიხლს განგამს: „ადე, ძმობილო, ადექი, გააღვიძე, რა დავამართნია, ჰხედავ, რა ამბავია შენს თავსა, რამ დავაჩლუნგა, რამ დაგაოჩნა“?! მანამდე კი უნდა გულზე ხელები დავიკრიფოთ, მივანდოთ ჩვენი თავი ბედსა და ილბაღს...

გიკვირთ? მე არ მიკვირს. ვიცი, არც შენ გიკვირს, ჩემო ერთგულო მკითხველო, უცხოელებზე მამულ-დედულის გაყიდვა და არც არავისგან ველოდებით დავიკრიფოთ, მივანდოთ ჩვენი თავი ბედსა და ილბაღს...

ტიყუილია? არ არის ასე?

«აბა, კანი ბიჭი ხარ და ქართველ კაცს ბაბაბადინებ, ათქმინებ თვინს მოწინააღმდეგის შესახებ, რომ თუმცა ერთსა სტყუი, მაგრამ ეს ერთი რამ კი სიმართლე სთქვიო. რაკი მოწინააღმდეგე ხარ, სრულიად, თავით ბოლომდე, მტყუანი ხარ, მართლის თქმა, მართლის ქმნა არ კალბიძსო» დღეს ვინმეს უკვირს ეს? რა თქმა უნდა, არა (თუ აღარ!)»



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გაბრძელება. დასაწყისი ის. №3, 2021 წ.

წერილის პირველი ნაწილი დასრულდა ასე: 1953 წლის 7 სექტემბერს მოხდა ისეთი რამ, რასაც არავინ ელოდა: ამ დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თბილისის მეტრომშენებლობის ლიკვიდაციის შესახებ დადგენილება გამოიტანა. ამავე დადგენილებით, კიევისა და ბაქოში მეტროს მშენებლობა დააკონსერვეს. ამ მომენტისთვის თბილისში უკვე გაყვანილი იყო კილომეტრზე მეტი სიგრძის გვირაბი სადგურებს — „ვაგზლის მოედანს“ და „მარჯანიშვილს“ შორის. 150 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უკვე შესრულებული იყო.

ამ ვერაგი საქმის თაოსანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარე **გიორგი ბაქრაძე** იყო. რამდენიმე დღეში გაირკვა, რომ საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილება თბილისის მეტროპოლიტიკის ლიკვიდაციის შესახებ გაუქმდებოდა და, როგორც კიევისა და ბაქოში, თბილისშიც მშენებლობის მხოლოდ დროებითი ლიკვიდაცია მოხდებოდა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ **ვანო მჭავრიჭავაძის**, **მიხეილ მაღრაძის** და **ვიქტორ გოცირიძის** ძალისხმევითა და ერთობლივი ბრძოლით თბილისის მეტრო დალუპვას გადაურჩა.

მაღე მიხეილ მაღრაძე მეტროპოლიტიკის სამმართველოდან გადაიყვანეს და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ დანიშნეს, მაგრამ მეტროს მშენებლობასთან კავშირი არ გაუწყვეტია და ძველ მეგობრებს ყოველდღიურად ესმარებოდა.

1955 წელს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა საპროექტო დავალება თბილისის მეტროპოლიტიკის მინისტრსა და მშენებლობის სახელმძღვანელოებს: ჰქონოთ თავდაცვის საჭიროებისთვის გამოყენების შესახებ მეტროში მუშაობა განახლდა.

ორი წლის შემდეგ **ვიქტორ გოცირიძე** თბილველი რამდენიმე უფროსად დანიშნეს. იმ წლებში საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გივი ჯავახიშვილი** იყო. მასთან შეთანხმებით გადაწყდა, რომ აქედან იქნებოდა მხოლოდ გვირაბები თავდაცვის საჭიროებისთვის, არამედ კვლავ განეხილებინათ მეტროპოლიტიკის მშენებლობა. ჩანადიერი ასეთი იყო: გეგმა უნდა განხორციელებულიყო სწორედ იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც რესპუბლიკას საპროექტო თავდაცვისთვის ეძლეოდა. ინიციატორები ცდილობდნენ, დაერქვათ მინიშნებით ხელმძღვანელობა, რომ ომის შემთხვევაში მოსახლეობა მეტროს თავშესაფრად გამოიყენებოდა. სამუშაოდ, საკავშირო მინისტრთა საბჭოს მოახსენეს, თბილისში საპროექტო თავდაცვისთვის გამოყოფილ ფულს მეტროპოლიტიკის მშენებლობისთვის იყენებენო.

„საქმეს“ მსვლელობა მიეცა. თბილისში გამოგზავნეს სპეციალური კომისია მინისტრთა საბჭოს განყოფილების გამგის — ა. პოლიკარპოვის მეთაურობით. კომისიამ დაათვალიერა ყველა შახტი, გამოამუშავეს რეგულირებადი უბნები, ესაუბრა მშენებლებს, ინჟინრებს.

ოცი დღის შემდეგ **გივი ჯავახიშვილი** მოსკოვში, მინისტრთა საბჭოს სხდომაზე გამოიძახეს. ფულადი სახსრე-

ბის უკანონო გამოყენების“ თაობაზე განმარტების მისაცემად.

მოსკოვში ჯავახიშვილმა და გოცირიძემ „დიპლომატიური სვლებით“ დაარწმუნეს მინისტრი დედარევი, რომ მეტროს პროექტი არაფრით განსხვავდებოდა საპროექტო თავდაცვის ობიექტების პროექტებისგან. დაუმტკიცეს, რომ ამ საქმის გამოყენებით ერთდროულად მეტროც შენდებოდა და თავშესაფარიც. დედარევი დაეთანხმა ქართველების მოსაზრებას და მინისტრთა საბჭოს სხდომაზე მხარდაჭერას დაჰპირდა. იგივე განმეორდა საგემო კომიტეტში, რომლის თავმჯდომარე ხრუნიჩვიც დაითანხმეს. სახმშენის თავმჯდომარე კურჩენკოც არ იყო გამონაკლისი.

სალამოს პოლიტიკოსის წევრი ანასტას მიქოიანიც მათ მხარეს დადგა.

მეორე დღეს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე ერთ-ერთი მინისტრი მოულოდნელად თავს დაესხა ქართული მხარის წარმომადგენლებს და ასეთი ფრაზაც კი წამოიხროლა: „რატომ არღვევს ქართველი ხალხი წესრიგს?“ გივი ჯავახიშვილმა მკვახედ მიუგო: ვიდრე რამეს იტყოდეთ, სიტყვას უნდა დაუფიქრდეთ! ჩამოვარდნილი უზენესი სიჩუმე პირველად ხრუნიჩვიმ დაარღვია. — ჩემი აზრით, ქართველი ამხანაგები სწორად იქცვიან, მეტროს მშენებლობას რომ აგრძელებენო, — თქვა მან. ჩვენი წინადადება დაუბრუნებულად მიიღეს. ანასტას მიქოიანის დუმილიც თანხმობის ნიშანი იყო.

თბილისის მეტრომშენებელთა ბირთვი ჯერ კიდევ მავი ზღვის გვირაბების მშენებლობისას შეიქმნა. ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ძირითადი კადრები თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ხიდებისა და გვირაბების ფაკულტეტის 1947-51 წლების სურსდამთავრებულნი იყვნენ.

შეიძლება ითქვას, მშენებლებმა ნიჩბებითა და ნერაქვებით დაიწყეს, რომლებიც თანდათან შეცვალა პერფორატორებმა, ბეტონის ტუმბოებმა, ქანების დამტვირთავმა მანქანებმა, მინისქვეშა ელექტრომაგლებმა.

1960 წელს პირველი დიდი ბეტონის ქარხანა დიდუბეში აშენდა. ქარხანა ყოველდღიურად 300 კუბურ მეტრ ბეტონსა და 400 კუბურ მეტრ რკინაბეტონს ამზადებდა. 1980 წელს აეროპორტის რაიონში აიგო ახალი თანამედროვე რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხანა. აქ დაიწყეს ახალი ზემტკიცე ბეტონის დამზადება, რომლის ფიზიკურ-მექანიკური თვისებებიც მინისქვეშა მშენებლობაში მისი ეფ-

ვიქტორ გოცირიძე 35 წელზე მეტხანს ხელმძღვანელოვდა „თბილველი რამდენიმე“ მისი ბიოგრაფია მოცე საუკუნის ბარიერაზე დაბადებული თაობის თვებდასავალია, თაობისა, რომელსაც ზედმად გასავლელად ძნელი გზა არგუნა, მაგრამ რწმენამ და საკუთარი ძვეყნის სიყვარულმა შეაძლებინა იმ ეპოქის ადამიანებს, დაეძლიათ ნებისმიერი სირთულეები, ეშენებინათ ახალი ძვეყანა. ამას მიუკერძოებელი სტატისტიკა თვალნათლივ ადასტურებს.

სტალინის მიერ ნებადართული, ანუ როგორ ყალიბდებოდა თბილისი ეპროპულ ქალაქად



თბილისის მეტროს მშენებლები

მეტროს მშენებლობაზე პირველი მოვიდნენ მონიშნული მუშაკები შავიზღვისპირეთის 165 მშენებლობიდან, თბილისის სხვადასხვა მშენებლობიდან, მეტროს მოაშურა სოფლებიდან მოვიდნენ 2500 ჭაბუკმა, ასევე, სამთოელთა პირველი ნაპირი ჩიხთურიდან, ტყიბულიდან, ტყვარჩელიდან, ახალციხიდან; ჩამოვიდა მშენებელთა ჯგუფი მოსკოვიდან

ექტიანი გამოყენების ფართო შესაძლებლობას ქმნიდა. ამ ბეტონის დამზადების ათვისებისა და წარმოებისა და წარმოების მუშაკთა შემოქმედებითი აზროვნების დიდ გამარჯვებად იყო მიჩნეული.

მეტროს მშენებლობაზე პირველი მოვიდნენ მონიშნული მუშაკები შავიზღვისპირეთის 165 მშენებლობიდან, თბილისის სხვადასხვა მშენებლობიდან, მეტროს მოაშურა სოფლებიდან მოვიდნენ 2500 ჭაბუკმა, ასევე, სამთოელთა პირველი ნაპირი ჩიხთურიდან, ტყიბულიდან, ტყვარჩელიდან, ახალციხიდან; ჩამოვიდა მშენებელთა ჯგუფი მოსკოვიდან.

ნავთლულის რაიონში სასწრაფოდ დაიწყო მუშაობა დასახლების მშენებლობა. შენდებოდა საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საბავშვო ბაღები, მედუნიტეტები, მეტრომშენების მუშაკებისთვის საცხოვრებელი სახლები აშენდა პავლევის ქუჩაზე, დილოში, გლდანში, ვაზისუბანში. ვიქტორ გოცირიძე უშუალოდ მონაწილეობდა მათი ცხოვრების მოწყობაში, საცხოვრებელი

პირობების გაუმჯობესებაში. ახალბედებს საქმის შესასწავლად აგზავნიდნენ სპეციალურ პროფესიულ სასწავლებელში, სადაც ისინი პილოტ-ტექნიკურ ბეტონსა და სასაწყობო რკინაბეტონზე მუშაობის სხვადასხვა მინისქვეშა მონაწილეს სპეციალობას უფლებდებოდნენ.

ეს იყო თავისებური მოძრაობის სკოლები, რომლებიც მშენებლებს უზნებლად უბანში გადადიოდნენ და მარცვალ-მარცვალ კრეფდნენ მონიშნულ გამოცდილებას და ახალგაზრდებს აზიარებდნენ, ასწავლიდნენ, ავარჯიშებდნენ. ვიქტორ გოცირიძე ყოველმხრივ ზრუნავდა შრომის მაღალი კულტურის შექმნაზე. მან ჩამოაყალიბა ყოველდღიური საქმიანობის დევიზი: „რაც კარგი და საუკეთესოა, ავითვისო და გამოვიყენოთ; რაც დღეს უფარგისია, გარდაქმნათ საუკეთესოდ“.

ყოველდღიურად უამრავი კითხვა გროვდებოდა, აღინიშნებოდა საგანგებოდ შემოღებული ფურცლებზე, რომლებიც შემდგომ „რაციონალური აზროვნებისთვის განკუთვნი-

ილ თემად“ იქცეოდა ან „კავგი-პროგრანის“ დამპროექტებლებს, ტექნოლოგიური პროექტის ავტორებს გადაეცემოდა. სკოლებში, ცვლებში, საამქროებში სპეციალური „ტექნიკური დღეები“ დანესდა. ყოველი მშენებლისა და მონიშნულად ერთ კონკრეტულ პრობლემას.

დამპროექტებლები, სპეციალისტები წარმატებით წყვედნენ არა მხოლოდ პრაქტიკულ საკითხებს, არამედ ბევრ სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემასაც. საყოველთაოდ ცნობილი ქეშმარიტებაა, რომ პროექტირება მშენებლობის ერთ-ერთ ძირითადი საწინდარი და მეტრომშენებლობის ეფექტიანობის ზრდის ტექნოლოგიური საფუძველია.

თავდაპირველად მეტროს დამპროექტებმა მოსკოვის ინსტიტუტის „მეტროგეოპროგრანის“ თბილისის ფილიალს — „მეტროპროექტს“ დაევალი. ამ ფილიალმა დააპროექტა სადგურები: „ნაძალადევი“, „სადგურის მოედანი“, „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“,

„ავლაბარი“ და „300 არაგველი“. საქართველოს დედაქალაქში მეტროპოლიტიკის დამპროექტებისას არაერთი ტექნიკური სიახლე იშვა, რომელთაც მნიშვნელობა დღემდე არ დაუკარგავს.

გადასარბენ გვირაბებსა და სადგურებში მუდმივი სამაგრების ასაგებად ძირითადად იყენებდნენ მონოლითურ ბეტონს და ნაწილობრივ — რკინაბეტონსაც. ამან საგრძობლად შეამცირა სამაგრზე ცემენტისა და ქვიშის ხსნარის ჭირხის მოცულობა. გარდა ამისა, პირველი რიგის ლითონის ხარჯი შემცირდა 5000 ტონით ასაკრებ უნიფიცირებულ სამაგრებთან შედარებით. გამოირჩა ამოკვეთის სამუშაოები. ამასთანავე, მშენებლობის საერთო ღირებულება მხოლოდ გადასარბენ გვირაბების 12 მილიონი მანეთით შემცირდა. ამ მაჩვენებლებით დადასტურდა, რომ მყარ კლდოვან ქანებში გვირაბების გაყვანისას ასაწყობი სამაგრების გამოყენება ყოველთვის აუცილებელი არ არის.

მტკვრის კალაპოტის ქვეშ გვირაბის გაყვანი-



თბილისში „გვირაგმონი“ ახანადა მტკვრის სანაპიროს, სიღაზს, გვირაგმოს, მიწისქვეშა გადასასვლელს. „თბილგვირაგმონი“ ააგო საპროექტო ცნობილი ყვარლის უნიკალური მიწისქვეშა ღვინის საცავი, გამონაგებების სიგრძე 7,5 კილომეტრი იყო. ამას ემატება 24 სარკინიგზო გვირაგი ზანსტაგონი, ჭიბურძის საზოგადოებრივი (თითოეულის სიგრძე 110-დან 1071 მეტრი), სამი ავტოსაგზაო გვირაგი საპარტიველოს სამხედრო გზაზე საერთო სიგრძით 1129 მეტრი, მარტყოფის, ტირიფონის, ტაშისკარის, ნაღარაზაგის, კრანისის, ალგეთის, ნაბაღის, ლამისყანის ჰიდროელექტროგვირაგმი.

სასწრაფოა საინტერესო ნინადადებ: მდინარის ფსკერზე გაკეთებული ყო ბეტონის დამცველი კალაპოტი. ამან შესაძლებელი გახადა მეორე ნაპირამდე გასვლა ტრასის სიგრძის გაზრდის გარეშე და საგრძობლად შეამცირა მშენებლობის ხარჯებიც. მეტრომშენის ისტორიაში პირველად „კავშირგაბრუნებელში“ დამუშავდა გადასარბენი გვირაგმის მთლიანი სექციური სამაგრიბის კონსტრუქცია.

სადგურებიც ძირითადად მონოლითური ბეტონისა და რკინაბეტონისაგან იგებოდა სამაგრიბის, პოლინური და სვეტებიანი.

ძალზე საინტერესოა სადგურ „ისნის“ ვესტიბულის კონსტრუქცია, იგი საუკეთესო არქიტექტურულ-დაგეგმარებითი გადაწყვეტის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს. დიდძალაქის რთული რელიეფის გარდა, მდინარე მტკვრის ვიწრო კანიონი, ნაპირების ნიშნულების სხვადასხვაობა დიდ დაბრკოლებებს უქმნიდა მეტრომშენებლებს. დამპროექტებლებს ყველა ეს სიძნელე უნდა გაეთვალისწინებინათ.

გვირაგმის მშენებლობას ართულებდა ქალაქის განაშენიანების სიმჭიდროვეც, მიწისქვეშა მეურნეობის ნაგებობათა ხშირი ქსელი და ინტენსიური მოძრაობა ქუჩებში. როგორც დამპროექტებლები, ისე მშენებელთა ახალგაზრდა კადრები წარმატებით ართმევდნენ თავს ყველა ამ სირთულეს. დამპროექტებლები მუდამ მშენებელთა გვერდით იყვნენ. ისინი დიდ დროსა და ყურადღებას უთმობდნენ ე.წ. მეორე გასასვლელის დამუშავებას. დღეს, მაგალითად, სადგურ „ვაგზლის მოედანს“ ნაძალადევის რაიონის მხარეს მეორე გასასვლელი აქვს.

ქალაქის მიწისქვეშა ქალაქის სახეს უნდა შეესაბამებოდეს, — თქვა დამპროექტებელთა და მშენებელთა ერთერთ თათბირზე ვიქტორ გოცირიძემ. ის მოუწოდებდა დამპროექტებლებს და არქიტექტორებს, მშენებლებთან ერთად ეფიქრათ და ეზრუნათ ქალაქის თითოეული რაიონის ინდივიდუალურ თავისებურებათა შესატყვისი ოპტიმალური საინჟინრო გადაწყვეტილებების მიგებაზე; დიდ ყურადღებას აქცევდა გარემოს დაცვას. მისი შენიშვნები გაითვალისწინეს დამპროექტებლებმა და მეტროს სადგურებში მატარებლის მოძრაობისას, აგრეთვე მეტროპოლიტენის მექანიზმების და დანადგარების მუშაობის დროს წარმოქმნილი ხმაურისა და ვიბრაციისაგან დამცველი მოწყობილობა დამონტაჟდა.

№213 მატარებლის კოლექტივმა პირველად გამოიყენა გვირაგმამყვანი ფარი, რომლის ჩამოსატანადაც ვიქტორ გოცირიძე მოსკოვში გაემგზავრა.

ფარი დამუშავდა და დაამზადა სსრ კავშირის ტრანსპორტის მშენებლობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა თავარმეტროგვირაგმშენებლობის №5 ქარხნის კოლექტივთან ერთად. ეს იყო მექანიზებული აგრეგატი, რომელშიც გადასაადგილებელი სამაგრი შეერთებულია ქანების სანგრევ და ტრანსპორტიორის ჩამტვირთავ მოწყობილობასთან.

გვირაგმის ფართი გაყვანის

ტექნიკის ათვისება თბილისში ძნელი გამოდგა. ბევრი ეჭვის თვალთ უყურებდა საქმეს, ამბობდნენ, ასეთი მასშტაბის მეტროს აგება, მით უფრო, თუ თბილისური გრუნტის განსაკუთრებულ სირთულეს გავითვალისწინებთ, საბჭოთა ტექნიკით შეუძლებელი იქნებაო.

ორი გამოსავალი რჩებოდა: ამდენი შრომის მერე, როცა ქალაქის ათეულობით ქუჩა უკვე გადათხრილი იყო, ან საერთოდ უნდა აგველო ხელი ჩვენს ჩანაფიქრსა და გეგმებზე, ან ტექნიკა უცხოეთის რომელიმე ქვეყნიდან მიგველო.

ცხადია, ბევრ საკითხში ოპონენტები მართალი იყვნენ. თბილისის ნიადაგი მართლაც რთულია. აქ ძალიან ბევრია გაზი, მეთანი, რომელიც ერთი ნაპერწკლითაც შეიძლება აფეთქდეს და ყველაფერი გაანადგუროს. ქალაქი, შეიძლება ითქვას, კლდეზე ზის და ეს კლდე რაღაც სხვა ხერხებით უნდა დამუშავებულიყო. გრუნტი ძალზე მერყევია, მტკვ-



ვიქტორ გოცირიძის ერთ-ერთი სახელდახელო თათბირზე

ქარბაღ სეაზა ყაულა, როე გეანაგლოზის უფროსაე თითოეული გეანაგლის ფასი იხოდა, ავიტოე ყაულა თავის სეაგას დიდი მოწოეაგით აკითეგა და ასე, წლეზის განაგელოგაეე ერთად იზრდაგოდნენ, ერთად ინსტოგოდნენ, ერთად სნავლოგოდნენ იე სირთულეაგის გადალახვას, როელებიე სეირად სვდაგოდათ

რის ძველი კალაპოტები, რომლებსაც ჩვენ ახლა ვერ ვხედავთ, სადღაც დიდ სიღრმეში მცურავი ქანებით სავსე გამოწვრილებული ქმნის. ეს ვერაფერმეტრი ყოველ ფეხის ნაბიჯზეა ჩასაფრებული და, როგორც კი დროს იხელთებს, შეიძლება მშენებლებს მოულოდნელად დაატყდეს თავს.

თბილისელმა მეტრომშენებლებმა არა მხოლოდ ფართი მუშაობა აითვისეს, არამედ მისი გამოყენებით გადასარბენი გვირაგმის გაყვანისას სამაგრიბის მონოლითურ-დანეხილი ბეტონით მოწყობაც კი დაიწყეს.

მექანიზებული კომპლექსის წარმატებით ათვისებისათვის ტრანსპორტის მშენებლობის სამინისტროს სპეციალისტთა ჯგუფს სახელმწიფო პრემია მიენიჭა. ეს პრემია სხვებთან ერთად მიიღეს **გუდუ ფარულიამ** და **აბესალოე ყურაგვილიამ**.

თბილმეტრომშენის ტექნიკურ განყოფილებას ხელმძღვანელობდა დიდად ეროდირებული ინჟინერი **ალექსანდრე სუციშვილი**.

მშენებლებმა ბევრი ნოვაცია დანერგეს და აითვისეს, რომელთა ჩამოთვლას აღარ გაავაგრძელებ. ვიქტორ გოცირიძის გონივრული ხელმძღვანელობით მეტრომშენებელთა მრავალათასიანი კოლექტივის თითოეული წევრი მთელი მონდომებით იყო ჩართული საქმეში. კარგად ხედავდა ყველა, რომ მშენებლობის უფროსმა თითოეული მშენებლის ფასი იცოდა, ამიტომ ყველა თავის საქმეს დიდი მონდომებით აკეთებდა და ასე, წლების განმავლობაში ერთად იზრდებოდნენ, ერთად ინსტოგოდნენ, ერთად სნავლოგოდნენ იმ სირთულეების გადალახვას, რომლებიც ხშირად ხვდებოდათ.

ვიქტორ გოცირიძე დიდად აფასებდა **გრუზო ოპოლბაძის** წვლილს თბილისის მეტრო-



1952 წელს ჩამოყალიბდა თბილისის მეტრომშენის სამმართველო. სურათზე — აირვალეი გეანაგლები



თბილისის მეტრო დღეს

ყველა რაციონალიზატორულ ნინადადებაც ვიქტორ გოცირიძე ყურადღებით ეკიდებოდა და ყველას აძლევდა საშუალებას, განეხორციელებინა გაბედული იდეები. მუშაობაში ახალი მეთოდებისა და ხერხების გამოყენებისას უდიდეს პასუხისმგებლობას გრძობდა. ცდილობდა, ყოველმხრივ შეენყო ხელი როგორც მშენებელი ინჟინრების, ისე რიგითი მუშებისთვის. თვალყურს ადევნებდა, მათთვის დროულად რომ მიეწოდებინათ აუცილებელი მასალები, ტრანსპორტი. პირადად მონაწილეობდა მატერიალური მომარაგების სამსახურის ოპერატიულ მუშაობაში, ერეოდა ნორმირების ტექნიკაში. ეს ახალისებდა და ამხნევებდა ნოვატორებს. ისინი ხედავდნენ თავიანთი ნინადადებების პროდუქტიულობას, თავიანთი მუშაობის მაღალ შედეგებს.

აპაკი ჯვარიძის ნინადადებით, გადაწყდა ფარის გარის ქვედა ნაწილის გამოჭრა, რამაც შეამცირა ქანების ბურღვისას ტიუბინგების რგოლების დეფორმაცია. რკინაბეტონის რგოლების აწყობისას ჯვარიძის ბრიგადამ მონტაჟის დრო 20 წუთით შეამცირა.

სერგო გინიძის ნინადადებით, შემუშავდა და შეიქმნა ავტომატური დამხვევი მანქანა, რომელმაც შრომის ნაყოფიერება თითქმის ორჯერ გაზარდა.

ინჟინერთა და ტექნიკურ მუშაკთა ძირითად კადრებს საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის „ხიდევისა და გვირაგმის“ ფაკულტეტის 1947-1951 წლების კურსდამთავრებულები შეადგენდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ამ ინსტიტუტს, რომელიც დღეს, სამსახურად, აღარ არსებობს, დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენს ქვეყანაში გვირაგმშენებლობის განვითარებაში. ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები სისხლბოცეულად დაინტერესებულნი იყვნენ თბილისში მეტროს მშენებლობით. ისეთი მართლაც გამოჩენილი სწავლულები და ინჟინრები, გვირაგმშენებლობის სპეციალისტები, როგორებიც იყვნენ **მისროე დანდურში**, **პირიაე ზავრიძი**, **ავთანდილე დაუშვილი**, არა მხოლოდ კადრებს ამზადებდნენ „თბილგვირაგმშენისთვის“, არამედ უშუალოდ ეხმარებოდნენ მშენებლებს ბევრი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტაში. მაგალითად, სადგურ „ისნის“ ვესტიბულის ორიგინალური კონსტრუქცია „კავშირგაბრუნებელში“ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტთან ერთად შექმნა.

ინოვაციური მეთოდით ამუშავდა სადგური „პოლიტექნიკური ინსტიტუტი“, რომლის ერთთაღიან კონსტრუქციას არსებითი უპირატესობა აქვს სამთლიან, კოლონებიან სადგურის კონსტრუქციაზე.

სადგური „წერეთლის პროსპექტი“ სატრანსპორტო მშენებლობის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კონსტრუქციის მიხედვით აშენდა.

ბიძინა სონელაშვილი (დასასრული შეგებე ნოეგეე)

ოპოლიტენის მშენებლობაში. 25 წლის ჭაბუკი 1952 წელს მივიდა „მეტრომშენში“ და სამუშაოდ მიღება ითხოვა.

გრუზო ოპოლბაძემ პირველმა გამოიყენა გვირაგმის გადაყვანისას თითონის ყალიბი. ამან საშუალება მისცა მშენებლებს, დაეზოგათ ასეულობით კუბური მეტრი ხის მასალა, დააჩქარა გვირაგმის გაყვანის ტემპი. იგი უშეცდომოდ ხვდებოდა, დაუყოვნებლივ სად უნდა ეჩქარათ, რადგან გვირაგმის კედლები ისედაც მაგარი და საიმედო იყო. ამ მეთოდით შესაძლებელი გახდა მასალებისა და დროის მნიშვნელოვანი დაზოგვა.


ყველაზე ყველაზე...



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ჩარლი ჩაპლინმა ანდერძი ალნიშნა, რომ 1 მლნ დოლარი გადასცენ იმ ადამიანს, რომელიც გაიმეორებს სიბარის გოლის რგოლების ტრიუკს — პირიდან გამოშვებულ 5 რგოლში გააძვრინს მთავრებს. ტრიუკი ისეთი რთული აღმოჩნდა, რომ დღემდე ვერავინ შეასრულა.

1967 წლის 19 იანვარს გერმანელმა კარი აუხმა დაწერა ყველაზე მოკლე ანდერძი კაცობრიობის ისტორიაში: «ყველაფერი ჩემს ცოლს», მაგრამ ეს არ არის უკანასკნელი ნების გამოხატველი ყველაზე ორიგინალური დოკუმენტი. გაეცანით ყველაზე უცნაურ ანდერძებს.



ყველაზე ბრძალი ანდერძი


აშშ-ის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა **თომას ჯეფერსონმა** ისტორიაში ყველაზე გრძელი ანდერძი შეადგინა. ჯეფერსონის ყველა მემკვიდრეს შეეძლო ქონების ნაწილის მიღება იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტურად დაადასტურებდა თავისი მონების გათავისუფლებას.

სოლისთვის დაბოვებული 1 შილინგი

ავსტრალიელმა **ფრანსის ლორდმა** უზარმაზარი ქონება უანდერძა მეგობრებს, მსახურებსა და საქველმოქმედო ორგანიზაციებს, მუხუღე კი სიის ბოლოში მოისხენია, მას, დოკუმენტების მიხედვით 1 შილინგი (ავსტრალიური ფული 1968 წლამდე. ერთი ავსტრალიური გირვანქა 20 შილინგისგან შედგებოდა) ერგო, «რათა აელო ტრამეის ბილეთი, წასულიყო და თავი დაეხრწა».



ყველაზე უსნაური ანდერძები კასობრიობის ისტორიაში



65 მლნ კალს


ამერიკელი კინოპროდიუსერი **როჯერ დორკასი** თავისი ანდერძით ისტორიაში შევიდა. მან 65 მლნ დოლარი დაუტოვა საყვარელ ძაღლს — მაქსიმელიანს, კინოპროდიუსერის ცოლმა კი მხოლოდ 1 ცენტტი მიიღო.



ყველაზე სასაკებლო ანდერძი


სახელგანთქმულმა **შილიამ ჰემსპირმა** თავის ანდერძში ჩამოთვალა არა მხოლოდ უძრავი ქონება, არამედ ავეჯიცა და ფეხსაცმელიც კი. შედეგად პოეტის ანდერძი ისტორიულად ყველაზე სასარგებლო აღმოჩნდა.

ალსანიშნავია, რომ ანდერძი ერთადერთი დოკუმენტია, რომელიც შექსპირის არსებობას ადასტურებს.



ყველაზე რთული ანდერძი

სახელგანთქმული ფიზიკოსის, **ნილს ბორის**, ლაბორანტმა მეცნიერისთვის შეადგინა ანდერძი, რომელიც წასაკითხად რთული აღმოჩნდა იურისტებისთვის — მათ ვერაფერი გაუგეს მეცნიერულ ტერმინებს და ანდერძის შინაარსში გასარკვევად დახმარებისთვის ლინგვისტებსა და ფიზიკოსებს მიმართეს.



ყველაზე სწოილი ანდერძი

ყველაზე ცნობილი ანდერძი ეკუთვნის შვედ **ალფრედ ნობელს**, რომელმაც, ანდერძის მიხედვით, თავის ოჯახსა და ნათესავებს მხოლოდ 500 ათასი კრონი დაუტოვა, 30 მლნ კი — თავის სახელობის ფონდს ნობელის პრემიის დასანესებლად.



ანდერძი საყვარელ «ფარაჩიუ»

კალიფორნიის «მაღალი საზოგადოების» წარმომადგენელმა **სანდრა უესტმა** მოისურვა, რომ გარდაცვალების შემდეგ მისთვის აბრეშუმის პერანგი ჩაეცმიათ და საყვარელ ავტომობილს «ფერარისთან» ერთად დაემარხათ. ნათესავებმა ქალბატონ სანდრას სურვილი შეუსრულეს, მაგრამ მისი საფლავი დააბეტონეს, რადგან ვანდალების შეეშინდათ.




ანდერძით დაბოვებული ყველაზე მადლი ფული

ანდერძის მიხედვით, ყველაზე მეტი ნაღდი ფული დატოვა ამერიკელმა მრეწველმა **ჰენრი ფორდმა**, რომელმაც 4157 საქველმოქმედო ფონდსა და სასწავლო დაწესებულებას 500 მლნ დოლარი გაუნაწილა.

5 რგოლში გააძვრინა

მსახიობმა **ჩარლი ჩაპლინმა** ანდერძში აღნიშნა, რომ 1 მლნ დოლარი გადასცენ იმ ადამიანს, რომელიც გაიმეორებს სიბარის ბოლის რგოლების ტრიუკს — პირიდან გამოშვებულ 5 რგოლში გააძვრინს მთავრებს. ტრიუკი ისეთი რთული აღმოჩნდა, რომ დღემდე ვერავინ შეასრულა. თუმცა არ არის გამოჩენილი, ეს ვინმემ მაინც შეძლოს.



«ფარტიკალური» ანდერძი

ძალიან უცნაური ანდერძი დატოვა პუერტორიკელმა **ანჯელ პანტორიამ**. მისი ძმის, **კარლოსის**, თქმით, ანჯელის ბოლო სურვილი იყო, «ფეხზე მყარად დგომა საკუთარ სახლში».



ეთერ თუთუბარიძე აღზარდა ოლიმპიური ჩემპიონი იულია ლივნიცაია, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი ევგენია მედვედევა, ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი ალინა ზაბიტოვა, მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ელისაბედ ტურსინაა, ევროპის ჩემპიონი ალიონა კოსტორანი, ევროპის ჩემპიონატის პრიზიორები: სარგაი ვორონოვი, მორის ყვითელაშვილი, ანა შერბაკოვა და ალექსანდრა ტრუსოვი.

ეთერ თუთუბარიძე – ჩემპიონების აღზარდელი

მსოფლიო საკითხს მწვინელი ქართული ფასებით

ეთერი თუთუბარიძის დიდი ქართული ოჯახის მეხუთე შვილია — ჰყავს სამი და და ძმა. დაიბადა 1974 წლის 24 თებერვალს მოსკოვში. ეთერის მამა ქარხანაში მუშად მუშაობდა, დედა — ინჟინრად. ოჯახი ფინანსურად ძლიერი არ იყო და ამიტომ მამა ორ ცვლაში მუშაობდა, ხოლო როცა მანქანა შეიძინა, ღამით ტაქსაობასაც მიჰყო ხელი, რათა ბავშვებისთვის არაფერი მოეკლო. ეთერი 4 წლის იყო, როცა ციგურების ფიგურულმა სრიალმა გაიტაცა. ეთერ თუთუბარიძე არა მხოლოდ ციგურებით ფიგურული სრილის წარმატებით მდიდარი რუსული სკოლის გამორჩეული მწვრთნელია, არამედ მისი სახელი განთქმულია მსოფლიო ფიგურული ციგურაობის სამყაროში.

ბავშვობისა და მოზარდობის წლები

ეთერი თუთუბარიძის დიდი ქართული ოჯახის მეხუთე შვილია — ჰყავს სამი და და ძმა. დაიბადა 1974 წლის 24 თებერვალს მოსკოვში. ეთერის მამა ქარხანაში მუშად მუშაობდა, დედა — ინჟინრად. ოჯახი ფინანსურად ძლიერი არ იყო და ამიტომ მამა ორ ცვლაში მუშაობდა, ხოლო როცა მანქანა შეიძინა, ღამით ტაქსაობასაც მიჰყო ხელი, რათა ბავშვებისთვის არაფერი მოეკლო. ეთერი 4 წლის იყო, როცა ციგურების ფიგურულმა სრიალმა გაიტაცა. მისი პირველი მწვრთნელი გახლდათ ევგენია ზელიკოვა,

რომელმაც მყისვე შეაფასა გოგონას ფიზიკური მონაცემები და მისი რკინისებური ხასიათი. რამდენიმე წლის შემდეგ ეთერის განვრთნა დაიწყო ზელიკოვას მეუღლემ — ედუარდ კლინერმა. ის თუთუბარიძეზე დიდ იმედს ამყარებდა, მაგრამ მძიმე ტრავმამ გოგონას, როგორც ფიგურული მოციგურავის, კარიერა შეწყვიტა.

ცხოვრება ტრავმის შემდეგ. ტირაქტი

1990-იან წლებში ეთერ თუთუბარიძემ ყინულის შოუში დაიწყო გამოსვლა, როგორც მოციგურვემ. 18 წლის გოგონას აშშ-ში გადასვლა და ყინულის ბალეტ Ice Capades-ის სო-



ლისტობა შესთავაზეს. ამ შოუში 5 წლის განმავლობაში გამოდიოდა, მაგრამ შემდეგ კონტრაქტი შეუნწყვიტეს. ფული კატასტროფულად არ ჰყოფნიდა, ამიტომ იძულებული იყო, ქრისტიანული ორგანი-

ზაცია YMCA-ს უსახლკართოთა თავშესაფარში ეცხოვრა. 1995 წლის 19 აპრილს ამ ორგანიზაციის ადმინისტრაციულ შენობასთან ტერორისტებმა ბომბი ააფეთქეს. ასე მოხვდა ეთერი ოკლაჰომა-სიტიში მო-

წყობილი ტერაქტის ეპიცენტრში. ეს ტერაქტი კი 2001 წლის 11 სექტემბრის უბედურებამდე ყველაზე დიდ ტერაქტად ითვლებოდა (ოკლაჰომა-სიტიში მოწყობილი ტერაქტის შედეგად დაიღუპა 168 ადამიანი, დაჭრა — 680). თუთუბარიძე და მისი პარტნიორი ნიკოლოზ აბტარი შეიფარა მეხანძრემ, რომელმაც ისინი ნანგრევებიდან გამოიყვანა.

მწვრთნელად მუშაობა

ეთერ თუთუბარიძემ და მისმა პარტნიორმა კიდევ 4 წლის განმავლობაში იცხოვრეს აშშ-ში, შემდეგ კი მწვრთნელობა დაიწყეს და საკმაოდ წარმატებითაც, მაგრამ ეთერის სამშობლო და ახლობლები მოენ-



ეთერ თუთუბარიძე ბავშვობაში



მწვრთნელი



ეთერ თუთუბარიძე დედასა და დედათან ერთად



ქალიშვილ დინასთან ერთად



ეთერ თუთუბარიძე და ოლიმპიური ჩემპიონი იულია ლივნიცაია



ეთერ თუთუბარიძე და ევგენია მედვედევა

ატრა და 1999 წელს რუსეთში დაბრუნდა, დაამთავრა მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტი და დაიწყო მწვრთნელად მუშაობა. მან ოლიმპიური ჩემპიონების თანაგარსკველავები აღზარდა.

2014 წელს ევროპის ჩემპიონატზე ეთერ თუთუბარიძის აღზრდილებმა — **იულია ლივნიცაია** და **სარგაი ვორონოვა** — შესაბამისად, ოქროსა და ვერცხლის მედალები მოიპოვეს, სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე კი 15 წლის ლივნიცაიამ პირველი ადგილი დაიკავა. ოთხი წლის შემდეგ კორეაში გამართულ ოლიმპიადებზე ოქროს მედალს დაეუფლა **ალინა ზაბიტოვა**, ვერცხლისას — **ევგენია მედვედევა**, რომელიც ოლიმპიადამდე ორჯერ — 2016 და 2017 წლებში — მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ზაბიტოვამ კი **Lombardia Trophy**-ზე გაიმარჯვა. ზაბიტოვასა და მედვედევას წარმატებით გამოსვლების გამო ეთერ თუთუბარიძე რუსეთის სპორტული ჟურნალისტების ფედერაციამ პრემია „ოქროს ფურცელი“ დააჯილდოვა. წარმატებით ასპარეზობენ თუთუბარიძის სხვა აღზრდილებიც. 2018 წელს ციგურებით ფიგურული სრილის ისტორიაში პირველად შესარულა ოთხმაგი ლუტცი (რთული ილეთი, ტრიალ-ები ნახტომში. პირველად შესარულა ავსტრიელმა მოციგურავებმა ალოიზ ლუტცმა) 13 წლის **ალექსანდრა ტრუსოვა**.


ჩემპიონების აღზარდელი

ეთერ თუთუბარიძემ აღზარდა ოლიმპიური ჩემპიონი **იულია ლივნიცაია**, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი **ევგენია მედვედევა**, ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი **ალინა ზაბიტოვა**, მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი **ელისაბედ ტურსინაა**, ევროპის ჩემპიონი **ალიონა კოსტორანი**, ევროპის ჩემპიონატის პრიზიორები: **სარგაი ვორონოვი**, **მორის ყვითელაშვილი**, **ანა შერბაკოვა** და **ალექსანდრა ტრუსოვი**.

პირადი ცხოვრება

ამერიკის შეერთებულ შტატებში ეთერ თუთუბარიძე ცოლად გაჰყვა ამერიკელს, ჰყავს ქალიშვილი **დინა დეისი**, რომელიც ყინულზე სპორტული ციგურებით არის დაკავებული. ეთერ თუთუბარიძე არის რუსეთის დამსახურებული მწვრთნელი (2014 წ.). 2020 წელს მოციგურავთა საერთაშორისო ასოციაციამ მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელად დაასახელა.

მოამზადა ნიკა კორინთელაძე



უნაკრის პარლამენტის თავმჯდომარე სოროსის პითოდაზა: «ოქსფორდის საჭიროა სამი რამ: ფული, ფული და ფული!»

«ევროპა შეიქმნა იქნას მეოთხე იმპერიად, რომელსაც მნიშვნელოვანი არ ექნება არც მოქალაქეობა და არც პარლამენტის სპიკერობა, არც ეროვნულ კულტურას»

«თუ მომავალ ათწლეულში ვერ შევძლებთ ეროვნული მთავრობების შენარჩუნებას ცენტრალურ ევროპაში, მაშინ გამოირიცხებიან არ არის, რომ, როცა ჩვენი შვილები წამოიზრდებიან და ჩვენი წლოვანებისა იქნებიან, ევროპა უკვე მხოლოდ იმპერია იქნება», — განაცხადა უნგრეთის პარლამენტის სპიკერმა ლასლო კიკვიძემ გამოცემა Do Rzeczy-სთვის მიცემულ ინტერვიუში. მისი თქმით, ამ იმპერიაში მნიშვნელოვანი აღარ ექნება არც მოქალაქეობა და არც ეროვნულ კულტურებს.

ტუტებსა და ევროპულ თანამეგობრობაზე. «ფული ძალაუფლების უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ომისთვის საჭიროა სამი რამ: ფული, ფული და ფული. სამწუხაროდ ეს პრინციპი მოქმედებს არა მხოლოდ ბიზნესში, არამედ პოლიტიკაშიც. სოროსი მნიშვნელოვანი პერსონაა, ეს უეჭველია. მხოლოდ შარშან თავისი ფონდების მეშვეობით 32 მლნ დოლარი დახარჯა, რათა წარმოეჩინა ხედვა ე.წ. ღია საზოგადოებაზე, რაც, ჩემი აზრით, უტოპიაა და ბევრი უბედურების მიზეზი იქნება», — თქვა უნგრეთის პარლამენტის სპიკერმა.

«უფრო ადრე უნგრეთის პრემიერმინისტრმა მიქტორ ორბანმა გერმანულ გამოცემა Die Welt-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ევროკავშირი ძალიან ერევა თავისი წვერი ქვეყნების კომპეტენციაში. ორბანის თქმით, ცენტრალური ევროპის ქვეყნები არასოდეს იტყვიან უარს თავიანთ ქრისტიანულ ფასეულობებზე, ეროვნულ კულტურასა და «ტრადიციული ოჯახის მოდელზე».

იაქს.რუ-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელი

ლასლო კიკვიძემ ილაპარაკა, აგრეთვე, იმაზეც, როგორ ახდენს გავლენას ჯორჯ სოროსი ევროკავშირის ინსტი-



რუსეთის სკოლები დიკტორს პირველ დაუნიშნავენ ალფრედის საკითხებზე

რუსეთის განათლების მინისტრ სერგეი კრილოვის განცხადებით, სკოლებში ალფრედის საკითხებზე დირექტორის მოადგილის თანამდებობას შემოიღებენ. 27 იანვარს ფედერაციის საბჭოზე სიტყვით გამოსვლისას განათლების მინისტრმა ისაუბრა, რომელ თანამდებობებზე ჩატარდება კონკურსი ქვეყნის რეგიონებში. წლის დასაწყისში ასეთი კონკურსი, «პაველი ნავიგატორი», უკვე ჩატარდა რუსეთის ათეულობით რეგიონში. განათლების სამინისტროს პრესსამსახურმა განმარტა: კონკურსში მონაწილეობა შე-

უძლიათ როგორც მოქმედ პედაგოგებს, ისე უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების IV კურსის სტუდენტებს. ისინი იმუშავებენ არა მხოლოდ დირექტორებთან, არამედ მონაწილეობენ. «ამოცანა არის ის, რომ ალფრედს, უნიარესად, ურთიერთობა ჰქონდეს მოზარდებთან», — განაცხადა განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა. ახალ თანამდებობებს სკოლებში 2021 წლის მარტში შემოიღებენ. ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძე

რუსეთში სწავლის მსურველთათვის სტიპენდიებზე რეგისტრაცია დაიწყო

საქართველოში რუსეთის ინტერესების სექცია აცხადებს, რომ 20 იანვრიდან დაიწყო მსურველთა რეგისტრაცია, რუსეთში სწავლისა და სადოქტორო ხარისხის მოპოვების მსურველებისათვის. ასეთი შერჩევა სექციამ ყოველწლიურად ცხადდება და წარმატებით მიმდინარეობს. საბუთების მიღება წლებიდან დაიწყო 20 თებერვლამდე გაგრძელდება — ამ თარიღის შემდეგ რეგისტრაცია შეუძლებელი იქნება, მსურველებმა ამ გარემოებას ყურადღება აუცილებლად უნდა მიაქციონ. პანდემიით გამოწვეულ ვი-

თარებასთან დაკავშირებით 20 თებერვლამდე აუცილებლად ჩასაბარებელი საბუთების ნუსხა ჩვეულებრივთან შედარებით შეკვეცილია. პირველ ეტაპზე აუცილებელია 1. პასპორტის, 2. სასკოლო ატესტატის (მაგისტრობის მსურველებისთვის — ბაკალავრის დიპლომის, ხოლო ასპირანტურაში მოხვედრის მსურველებისთვის — მაგისტრის დიპლომის), 3. ნიშნების ფურცლისა და 4. (ასპირანტურისთვის) რეფერატის ასლების ატვირთვა სპეციალურ ინტერნეტ-გვერდზე (იხ. რუსულენოვანი ტექსტი ქვევით). რეგისტრაციის გასაწვლად არ დაგვიწყდეთ დააკლიკოთ ლილქს ნა-

რნებით — „Отправить на проверку“ — რეგისტრაცია მხოლოდ ამ მომენტში სრულდება. გთხოვთ, გულდასმით გაეცნოთ ქვემოთ წარმოდგენილ განცხადებას რუსულ ენაზე. რუსეთში სტიპენდიით სწავლის გასაგრძელებლად, აუცი-

ლებელია რუსული ენის ცოდნა იმ დონეზე მაინც, რომ ქვემოთ წარმოდგენილი განცხადების შინაარსი გაიგოთ და დამოუკიდებლად შეძლოთ დარეგისტრირება. „ნიუსფორტი“ წარმატებებს გისურვებთ!



ВНИМАНИЕ! Открыта регистрация для поступления в вузы России на 2021/2022 учебный год

Секция интересов России в Грузии объявляет, что с 20 января с.г. стартует кампания по набору кандидатов для поступления в 2021-2022 учебном году в российские высшие учебные заведения за счет средств федерального бюджета Российской Федерации. Желающие получить образование в России могут подать заявки на обучение в электронной форме на сайте государственной информационной системы «Образование в РФ для иностранцев» (ГИС ОРФИ). Переадресация в систему возможна по ссылкам: <https://edu.rs.gov.ru/> и <https://future-in-russia.com/>. Для участия в отборочных мероприятиях необходимо будет пройти регистра-

цию, заполнить анкету на сайте <https://education-in-russia.com> и прикрепить к заявке необходимые отсканированные документы в соответствии с указанным в информационной системе перечнем. К документам, представленным на грузинском языке, должен прилагаться нотариально заверенный перевод на русский язык. Срок подачи заявок строго с 20 января по 20 февраля включительно. В конкурсе могут принимать участие граждане Грузии, лица без гражданства и российские соотечественники, постоянно проживающие на территории Грузии (имеющие разрешение на временное проживание или вид на жительство и не имеющие регистрации на территории Российской Федерации).

В марте с.г. состоятся отборочные испытания в формате собеседований для зарегистрированных в системе кандидатов. Информация о графике отборочных испытаний будет размещена дополнительно после 20 февраля с.г. В случае возникновения вопросов после внимательного изучения информации на официальном сайте квотной кампании, обращайтесь через систему сообщений новой информационной платформы или на электронный адрес Секции интересов interests.section@mid.ru. Дополнительно сообщаем, что ранее исполняемая образовательная программа Future-in-Russia более не ведет регистрацию граждан для участия в отборочной кампании.

GEORGIE.SU

«მინა ცხელი» კოვიდის ხანის ანექლოტი

ექიმი: — გაიკეთებთ ვაქცინას? ბრიტანელი: — არა. ექიმი: — ყველა ჯენტლმენმა აიცრა. ბრიტანელი: — მაშინ, კი! *** ექიმი: — გნებავთ ვაქცინა? გერმანელი: — არა. ექიმი: — ბრძანებაა! გერმანელი: — ე-ი., — კი! *** ექიმი: — გნებავთ ვაქცინა? ამერიკელი: — არა. ექიმი: — თქვენმა მეზობელმა უკვე აიცრა. ამერიკელი: — მართლა? მაშინ, რა თქმა უნდა — კი! *** ექიმი: — გნებავთ ვაქცინა? რუსი: — არა. ექიმი: — ეტყობა, მშიშარა ხართ. რუსი: — მე ვარ მშიშარა? ამცერით ორჯერ! *** ექიმი: — გნებავთ ვაქცინა? ფრანგი: — არა. ექიმი: — ყველა ჯენტლმენმა აიცრა. ფრანგი: — მე არ მეხება. ექიმი: — ბრძანებაა. ფრანგი: — მიმიფურთხება! ექიმი: — თქვენმა მეზობელმა უკვე აიცრა. ფრანგი: — რაც სურს, გაა-

კეთოს. ექიმი: — თქვენ ხომ ფრანგი ხართ? გამახსენდა, რომ ვაქცინა თქვენთვის გათვალისწინებული არ არის. ფრანგი: — რას ნიშნავს, გათვალისწინებული არ არის?! ახლავე ამცერით! *** ექიმი: — გნებავთ ვაქცინა? ჩეხი: — არა. არც იფიქროთ, რომ შემაცდენთ, როგორც ინგლისელი, გერმანელი, ამერიკელი და ფრანგი გააბითურეთ. ვიცი თქვენი ფოკუსები! ექიმი (უჩურჩულებს): ჩუმი, ჩუმი, ჩუმი ისინი რუსული ვაქცინით ავეცრი. თქვენთვის ეს არ უნდა შეეშალოს, რადგან კანონის დარღვევაა. რა თქმა უნდა, უფასო არ არის, როგორც რუსული. 900 კრონი ღირს. ჩეხი: (საფულედან 1000 კრონი იღებს): — მაშინ ამცერით, ექიმო! ყველაფერი რიგზეა. *** ექიმი: — გნებავთ ვაქცინა? ისრაელელი: — არა. ექიმი: — აქ, აშდოდში ცოტა კიდევ დაგვრჩა. დამთავრების პირასაა. ისრაელელი: — ხოლო?! (მთელი ოჯახი ჯდება ავტომანქანაში და აშდოდისკენ გასწვრივს).

www.geworld.ge საქართველო ინტერესების სექცია

სარედაქციო კოლეჯი გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ექირსებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს. მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6 ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894 საქართველო